სახალხო გაზეთი

№ 979 ოთხშაბათი, 28 აგვისტო 1913 წ. № 979

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

ტფილისი

წლიურ ხელის მომწერთა

საყურადღებოდ

ამით ვაცხადებთ, რომ თანახმად ხელის მოწერის პირობებისა, წლიური ხელის მოწერის ფასის გადასახდელი მეოთხე და უკანასკნელი **ვადა არის 1 სექტემბერი**, როდესაც გადახდილი უნდა იყოს 1 მ. და 50 კ.

„სახალხო გაზეთის“ კანტორა.

ქ. შ. წ.-კ. გამავრც. საზოგადოების გამგეობა აცხადებს, რომ დიდებულის მწერლის

ილია ჭავჭავაძის

ტრაღიკულად გარდაცვალების ექვსი წლის თავზე, ხუთშაბათს, **29 აგვისტოს**, მთაწმინდის ტაძარში, გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი განსვენებულის **პოეტის სულის მოსახსენებლად.**

წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი 12 საათზე.

30 აგვისტოს, პარასკევს, **პანაშვიდი წიწამურში**, იმ ადგილას, სადაც **ილია** ვერაგულად იქმნა მოკლული. 1450

ექიმი იასონ ისიდორეს ძე ყორდანია, თავადი დავით ოტიას ძე ნიჟარაძე მეუღლით კნეინა მარიამ ირაკლის ასულით და შვილით ჯუმბერით გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 25 აგვისტოს, ქ. ქუთაისში უდროვოდ გარდაიცვალა პირველის—მეუღლე, მეორეთა—ასული და უკანასკნელის—დაუვიწყარი და

ნატალია დავითის ასული ყორდანიასი.

ცხედრის გამოსვენება თ-დ ნიჟარაძის ბინიდან (ინჟინერნი ქუჩა) და დაკრძალვა მოხდება 29 აგვისტოს, ნაშუადღევის 4 საათზე **ქ. ქუთაისში.** 1442

გამოსულია და იყიდება

ნ. შიუკაშვილის

პიესა **„მეგობრობა“**, დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

გორის კერძო საქალებო პროფესიონალურ სკოლაში

მოწაფეთა მიღება დაიწყო

მოწაფე მიიღება არა ნაკლებ 13 წლისა,

დაწვრილებით პირობების გაგება შეიძლება პირადად და წერილობით გამგე **ელენე თარხან-მოურავოვის ასულთან.** 1445

ტფილისის კერძო სამკურნალო

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი ვ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.
	მალალაშვილი გ. გ. სამშაბ. და შაბათობით 10—12.
	მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე 12½—1. ს.
	ფედოროვი ი. გ. ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1.
	ექ.-ქალ. **ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** ყოველ-დღე გარდა კვირისა 12—1 ს.
ქირურგ. სნეულებანი.	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½.
	მელიქიშვილი ნ. ა. ყოველ დღე 10—1.
	ფირალოვი რ. ბ. ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირალოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12.
	თიკანაძე ი. ე. ყოველ დღე 1—2.
	მელიქიშვილი ნ. მ. ყოველ დღე 10—1.
ბავშვთა სნეულ.	**ექ.-ქალ. ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1½.
	მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე 12½—1.
	ფედოროვი გ. ს. ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
ნერვიულ. სნეულებ. და ელექ.	**ჯავახიშვილი ნ. ნ.** სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1
	ფონდოევი გ ს. ყოველ დღე 1—2.
ყელ. ყურის და ცხვირ.	**ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½.
	ორიმბოვსკი ნ. ს. ყოველ დღე 1½—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენერ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wassermann.** რჩევისათვის 50 კ. საწოლი 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, ,,606''და ,,914'' **წამლის შეშხაპუნება**, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. წ. 1035

საზურთალოზე

მშვენიერ ალაგას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და ლიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიყრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს**, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი**, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1220

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან-ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირის გარდა ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.

ექ. ქალი იოსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ვ. გ. კლდიაშვილი. ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი. აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

წამლობა „606“-ით 1035

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.; ვასსერმანის რეაქციით** იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს, მიღება ნაშუადღ. 3 — 5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 546

ექიმი შ. ა. მიქელაძე

15 ივნისიდან მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს, ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავად. არ იღებს. მესკოვის ქ., № 3, სახ. გაბაშვილისა.

კბილის ექიმი ა. ბ. ხოლოდაშვილი დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. გოლოვინის პროსპექტი, სახლი მდივნისა, № 12.

ექიმი ვ. მუსხელიშვილი 1 მარიამობისთვიდან მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

ქართული პრესა

ჩვენი გაზეთის კვირინდელს განცხადებას, რომ პროტესტები ,მივიღეთ დასელების უაზროდ და ნაძალადევად გამომცხვარ პროტესტების წინაამდეგ, „განთიადელები“ თავისებური ღრეჯით მიეგებნენ, და, რასაკვირველია, ერთხელ კიდევ ურცხვად დემაგოგიური დროშა ააფრიალეს: დაგვცინოდით, რა ქვეშ მისაღებია გაქსუებულ მუშების აზრი და ახლა თვითონ აფასებთ ორიოდე კაცის პროტესტსო.

„ბ. „სახალხონლნო“, მაშ არც ისე ფეხ-ქვეშ გასათელი და გასათრევი ყოფილა ჩვენი ერის დიდი უმეტესობა—მუშები და გლეხები, როგორც თქვენ ეს ჩაიდინეთ თქვენი ნამდვილი სულის კვეთების თანახმად“.

ამის დამწერს უთუოდ დიდიხანია დაჰკარგვია გონიერება და დაბრმავებულს თავის ნაჯღაბნის გარდა რასიმე დანახვა აღარ შეუძლიან. ჩვენც არა გვსურს ვეკამათოთ და რაიმე დავუმტკიცოთ,

არ მოსწონებიათ, როგორც მოსალოდნელი იყო, სიტყვას „დღიურიც“ და ამასაც ძმა-ბიჭურად უმასპინძლდებიან: „ბ. სიტყვა, ჩვენ არავის ვემუქრებით და კიდეც რომ ასე მოვიქცეთ, თქვენისთანა ხაცარქექიებთან ამგვარ რამეს არ დავხარჯავთო“.

სწორედ შესაბრალისნი ხართ, „განთიადის“ ბაყ-ბაყ მდევებო! თქვენს გულში ღვარძლის მეტი არა დაბუდებულა რა! ერთს რასმე მაინც გკითხავთ: ნუ თუ ოდნავად მაინც გჯერათ თქვენი დაწერილი?!.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

მეფის მოადგილის გრ. ვორონცოვ-დაშკოვის უქვეშევრდომილესმა ანგარიშებმა კავკასიის შესახებ რუსეთის პრესა აალაპარაკა. საინტერესოა ის გარემოება, რომ რუსეთის ზოგიერთი გაზეთი კავკასიის მეფის მოადგილის ანგარიშით ეცნობიან აქაურს მდგომარეობას. დანარჩენებს კი ეს მოხსენება მხოლოდ საკუთარი თავისებური აზრებისათვის გამოუყენებიათ. გაზ. „რეჩი“ აღნიშნავს მოხსენებას დედა აზრს, რომ კავკასიის ერებში სეპარატიზმი არ მოიპოვებაო, და დასძენს:

„ის შეხედულება, რომელსაც იგი (გრ. ვორონცოვ-დაშკოვი) გამოსთქვამს თავის ანგარიშში—პოლიტიკურ ნააზრევით ნაკარნახევი მინიმუმია. მაგრამ სწორედ ეს მინიმუმი არ ეთანხმება ეხლანდელ კურსს და ოფიციალურ ანგარიშში გრ. ვორონცოვ-დაშკოვის მიერ გამოთქმული მსჯელობა დისონანსად ისმის თანამედროვე ბიუროკრატიის შეთანხმებულ გუნდში, რომელიც ამყარებს და ხელს უწყობს ეხლანდელს კურსს.“

მაგრამ თვით კავკასიის ერების შესახებ „რეჩს“ წინედაც არაფერი უთქვამს და ეხლაც მაინც და მაინც არ აინტერესებს. მისთვის ამ დიდმნიშვნელოვან მოხსენებაში მხოლოდ ის არის საინტერესო, რომ

„თავის ანგარიშში მეფის მოადგილე დიდის სიფრთხილით აცხადებს, რომ მის მიერ მოწონებული სისტემა მართვა-გამგეობისა კავკასიის ადგილობრივი განსაკუთრებული პირობებით არის გამოწვეული, მაგრამ ნამდვილად კი ეს „განსაკუთრებული პირობები“ მთელი რუსეთის სივრცეზე არსებობს.

ის, რასაც მეფის მოადგილე კავკასიის გეგმებზე ლაპარაკობს, სამართლიანია ფინლიანდიისა, ხოლო მისა და სხვათა შესახებ“... და სხვა.

გვაგონდება ერთი ფრიად დიდმნიშვნელოვანი მომენტი რუსეთის მახლობელ ისტორიაში: როდესაც კიევში მეფის წინ სტოლიპინი მოჰკლეს, გაზეთმა „რეჩმა მეორე დღეს ორი მეთაური დასწერა მხოლოდ იმის შესახებ, რომ კიევში „ებრაელების აწიოკება“ უნდა ავიცდინოთ თავიდანაო.

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ სექტემბრის შუა რიცხვებში ჩვენი ახალგაზდა კომპოზიტორი **კოტე ფოცხვერაშვილი** ქუთაისში, საზოგადოების თხოვნით, გამართავს ქართულ სიმფონიურ კონცერტს. ბ. ფოცხვერაშვილი ამ ჟამად ტფილისს ჩამოვიდა „ახალ კლუბის“ მამასახლისთა საბჭოსთან მოსალაპარაკებლად მთელი ორკესტრის დათმობის შესახებ. იმედია, კლუბის მამასახლისთა საბჭო თანაგრძნობით შეხვდება კომპოზიტორის თხოვნას და მით ქუთაისის საზოგადოებასაც შეძლებას მისცემს მოისმინოს მშობლიური მუსიკა.

✦ **გრიგოლ ორბელიანის ძეგლი.** თავის დროზე იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ უმაღლესად ნება დართო, აეგოთ ტფილისში, ერთ-ერთს საზოგადო მოედანზე, ძეგლი პოეტის გრიგოლ ორბელიანისთვის. ძეგლისათვის ფულის მოგროვება კიდეც იკისრა თავად-აზნაურობამ, მაგრამ ამ საქმის შესახებ დღეს აღარა ისმის რა. სასურველია ვიცოდეთ, რა მდგომარეობაშია ამ ჟამად ეს დიდ-მნიშვნელოვანი საქმე.

✦ **შებამბეობა.** კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სასტატისტიკო ბიურომ თავის კორესპონდენტისაგან უკვე მიიღო ცნობები ამიერ-კავკასიაში ბამბის სანერგეების მდგომარეობის შესახებ. როგორც ამ ცნობებიდან სჩანს, შირაქის მაზრაში ამ ჟამად დიდი გვალვა სდგას, მიწა სულ გახმა და დასკდა და არა თუ ბამბის სანერგეები, ხეხილებიც ხმება.

✦ **ქალაქის გამგეობამ** დაადგინა, საბჭოს პირველი მორიგი კრება 9 სექტემბერს მოიწვიოს. კრებისთვის სხვადასხვა განყოფილებაში მოხსენებებს ამზადებენ.

✦ **წესიერი დასვენება.** ქალაქის გამგეობამ დაამზადა საბჭოსთვის წარსადგენად მოხსენება სახელოსნო დაწესებულებებში მოსამსახურეთა წესიერ დასვენების შესახებ.

✦ **ვერის პარკის** პირდაპირ, მტკვარზე სალაღფეხო ხიდის გასაკეთებლად ქალაქის გამგეობას 15,000 მან. აქვს გადადებული. გამგეობამ დაამზადა მოხსენება ამ ხიდის ჩქარა გაკეთების საჭიროების შესახებ და განსახილველად წარუდგენს საბჭოს პირველ მორიგ კრებას.

✦ **კავკასიის მუზეუმისა** და საჯარო ბიბლიოთეკის შენობა, რომლის საძირკველიც ახლა ჩაჰყარეს, ხარჯ-აღრიცხვით 400,000 მ. დაჯდება. შენობა ოთხ სართულიანი იქნება, სპარსულის სტილით და 1914 წელს სრულიად დამთავრდება.

✦ **საბირჟო ცნობები.** 27 აგვისტოს ტფილისში შეთანხმება არ მომხდარა. პროცენტიან ქაღალდების ფასი შემდეგი იყო: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციებისა: აფასებდნენ—84 მ. 30 კ., აძლევდნენ—84 მან. 40 კ., ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებდნენ—82 მ. 65 კ. აძლევდნენ—82 მან. 35 კ. და ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებდნენ—80 მ. 50 კ., აძლევდნენ—78 მან. 90 კ., სახელმწიფო მომგებიან ბილეთების საკურსო ნორმა შემდეგი იყო: პირველ სესხის ბილეთებისა—488 მან. მეორისა—361 მან. 50 კ. და მესამისა—317 მან.

✦ **ქალაქის სასალახოში.** 26 აგვისტოს საგანგებოდ მოწვეულმა სპეციალისტმა რულიოვმა ქალაქის სასალახოს აღმაშენებელ კომისიას დაწვრილებით მოახსენა შედეგი სასალახოს საყინულე განყოფილების მანქანათა გამოცდისა. ბ-ნ რულიოვის აზრით საყინულე განყოფილება კარგად არის მოწყობილი და მანქანებიც კარგია. ახალი სასალახო მოქმედებას ოქტომბერში დაიწყებს.

✦ **ქალაქის 1914 წლის ხარჯთაღრიცხვა,** რომლის შედგენაც უკვე დასრულდა, ამ ჟამად იბეჭდება და სამის დღის შემდეგ მზად იქნება.

✦ **მიოლევისეულ შენობასთან** ქალაქის გამგეობამ ელექტრონის მავთულები გაიყვანა და მუშები იქ დამითაც მუშაობენ. გამგეობას იმედი აქვს, შენობა 15 ოქტომბრისთვის დაუმზადოს ტფ. „კრუჟოკს“.

საზოგადოებანი და კრებები

✦ **ქალაქის საბჭოს** საგანგებო კრება დღეისთვის არის დანიშნული. მიოლევისეულ სახლის საკითხის განხილვის შემდეგ საბჭო აირჩევს ერთს წარმომადგენელს კიევში გასაგზავნად ქალაქის თვით-მმართველობათა წარმომადგენლების კრებაზე. ამას გარდა საბჭოს მოხსენდება შუამდგომლობა საყინულეთა მოწყობის საქმის მოღვაწეთა მომწვევ კომიტეტისა, რომელიც ქალაქის თვითმმართველობას სესხად სთხოვს 2,000 მან. პეტერბურგსა და მოსკოვში საცდელად სურსათ-სანოვაგის გასაგზავნად.

✦ **ქალაქების წარმომადგენელთა კრება** ტფილისში ოქტომბრის პირველ რიცხვებში მოხდება. ქალაქის გამგეობამ დაავალა სხვა და სხვა განყოფილებას, დაამზადოს ამ კრებისთვის მოხსენება.

ქალაქების წარმომადგენლების კრება კიევში 10 სექტემბერს დაიწყება. კიევის ქალაქის მოურავმა ტფილისისას სთხოვა, დაავალოს ტფილისის დელეგატებს, რათა ახლავ გაემგზავრონ კიევს და მონაწილეობა მიიღონ კრების მომწვევ კომიტეტის წინასწარ მუშაობაში.

სასწავლებლებში

✦ **ახალი სკოლა.** გორის საქალებო პროფესიანალურ სკოლის გამგე ქ-ნი ე. თარხნიშვილი სკოლის განყოფილებას აარსებს ახალქალაქში (გორის მაზრა).

ბათომი

✦ **ქართული დრამატიული დასი.** ჩამოვიდა რეჟისორი შ. დადიანი და დრამატიულ საზ. გამგეობასთან ერთად შეუდგა საქმის მოწყობას, რეპერტუარში შედის ახალი ორი-

ვასწავლი

ქართულ **„სიმღერა-გალობას“** და ვამზადებ მომღერალ-მგალობლებს გუნდისთვის. მუდმივ გუნდის მიწვევა ეკლესიებში, კონცერტებზე, პირობის გაგება, მოლაპარაკება, მიღება და ჩაწერა **მიხეილ კავსაძესთან** კვირაობით 3—5 საათამდე. ოთხშაბ. და შაბათობ. საღ. 5—7 ს-მდე. ავჭალის ქუჩა № 29. ვიღებ და ვასწავლი **მუშა-ხალხსაც** ვიწვევ მგალობლებს **ანჩისხატის საკრებულო ტაძარში** და კალოუბნის ეკლესიაში სადაც კვირა-უქმეებში მუდმივ გალობს გუნდი. 1448

ელექტრონის და რენტგენის სამკურნალო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. წ. 1023

„ქართველ მწერლებს“

ვინც გამოიწერს წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიიდან დაეთმობა 20% 1446

ახალი წიგნის მაღაზია

კ. ი. ოცხელისა

ქუთაისში, ალექსანდრეს ქუჩაზე, ზ. კოკოჩაშვილის სახლში გაიხსნა

უდიდესი წიგნის მაღაზია

კონსტანტინე ივანეს ძის ოცხელისა.

ახალ მაღაზიის შეძენილი აქვს მეტად მრავალი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი.

ახალ მაღაზიის სურს შეამსუბუქოს გაუწიოს პროვინციის წიგნის მაღაზიებს, საწავლებლებს და წიგნთსაცავებს, რომელთაც დაეთმობათ წიგნები, რაც შეიძლება ფას-დაკლებით, ამას ყველა დარწმუნდება მაღაზიის პირდაპირი გაცნობით.

ახალი მაღაზია გახსნილია იქ, სადაც აქამდე მთავრიშვილის ყოფილი ამხანაგობის წიგნის მაღაზია არსებობდა; მის გვერდით გამართულია დ. ი. ოცხელის სპეციალური საკანცელარიო მაღაზია, სადაც მოიპოვება ყოველნაირი სასწავლო ნივთი ძლიერ იაფად. 1419

გინალური და ნათარგმნი პიესები. დასში ჯერ-ჯერობით შედიან: ქ-ნი ე. მესხი, ე. ანდრონიკაშვილი, ო. ლეჟავა, ს. ზექანეიშვილი და ბ-ნნი შ. დადიანი, ს. ყალაბეგიშვილი, პ. კორიშელი, დ. მგალობლიშვილი და სხვ. დასში იქნება სულ 18 კაცი, 6 ქალი და 12 მამაკაცი.

სოფლად.

◆ **ქარელი** (გორის მაზრა). როგორც ვწერდით, აქ კნეინა ბარბარე დავითის ასულ ბაგრატიონ-დავითიშვილის თაოსნობით ადგილობრივ მცხოვრებთათვის საქსოვ-სართავი სახელოსნო სკოლა დაარსდა. როგორც გავიგეთ, სკოლის მასწავლებლად იწვევენ რუსს, რომელმაც ქართული ენა არ იცის.

◆ **ს. სვირი.** ექიმი ქიმიისა კ. მოდებაძე **წაიკითხავს ორ ლექციას** მეღვინეობაზე, ხუთშაბათს, 29 აგვისტოს და კვირას 1 სექტემბერს.

შეცდომის გასწორება. თ. ღლონტის წერილების მე-8 თავში, ფელეტონის მეცხრე სვეტში ცხრილში გურიის შესახებ პატენტის რიცხვი 1907 წ. აღნუსხულია 67, უნდა იყოს **616.** მეცხრე ფელეტონის მეხუთე სვეტში ცხრილს სათაურად აქვს: „ჯარიმა მოწმობის შეუძლებლობის გამო“. უნდა იყოს **შეუძენლობის** გამო. იმავე ფელეტონის მეათე სვეტში როგორც ცხრილის სათაურში ისე ტექსტში სიტყვა **ქცევა** უნდა შეიცვალოს **დესიატინაზე**.

ტფ. ტრამვაის მუშათა გაფიცვის გამო

როგორც ვწერდით, 26 აგვისტოს ტრამვაის მუშები გაიფიცნენ. დირექციას პასუხისთვის ოთხის დღის ვადა ჰქონდა მიცემული, მაგრამ 26 აგვისტოს პოლიცმეისტერის თანადასწრებით გამოირკვა, რომ დირექციას არავითარ პასუხის მიცემა არ შეეძლო. პოლიცმეისტერმა, აგრეთვე დირექციამ მუშებს ვადის გაგრძელება სთხოვეს, მაგრამ უარი მიიღეს. უარი იმით დაასაბუთეს, რომ დირექციას საკმარისი დრო ჰქონდა ბრიუსელში მთავარ გამგეობასთან მოსალაპარაკებლადო. ამის შემდეგ მუშები წყნარად და წესიერების დაურღვევლად დაიშალნენ.

გაფიცვის პირველმა, აგრეთვე გუშინდელმა, დღემ წყნარად ჩაიარა. გუბერნატორმა პირველსავე დღეს, 26 აგვისტოს, საგანგებო ბრძანება გამოსცა, რომლის შინაარსიც შემდეგია: „რადგანაც მოსამსახურეებმა შეაჩერეს მოძრაობა ტრამვაისა, რომელიც საზოგადო საჭიროებას ემსახურება, ამის გამო, წესიერების აღსადგენად, უკიდურეს ღონისძიებებს მივიღებ (სისხლის სამართლის მე-125 მუხლისა და სასჯელთა დებულების მე-13588 მუხლის ძალით) ტრამვაის მოძრაობის შეჩერების საქმეში დამნაშავეთა წინაღმდეგ“.

როგორც გავიგეთ, გუბერნატორი გაფიცულთ სამართალში მისცემს. გაფიცვის პირველ დღეს, საღამოთი როგორც ამბობენ, კერძო თათბირი მოხდა ქალაქის გამგეობისა და ტრამვაის დირექციისა. თათბირის შედეგი ამ ჟამად საიდუმლოებას შეადგენს.

ტრამვაის დირექტორის თანამდებობის აღმასრულებელმა ფ. პ. ტახტაჯიანმა, რომელმაც მუშათა მოთხოვნილებანი 25 აგვისტოს ბრიუსელში დეპეშით გაჰგზავნა, გუშინ, 27 აგვისტოს, ბრიუსელიდან, ბელგიის უსახელო საზოგადოების მთავარ გამგეობისაგან დეპეშა მიიღო, რომლითაც გამგეობა ფ. ტახტაჯიანცს ატყობინებს, მოთხოვნილებათა განხილვას უკვე შევუდექით და პასუხს ჩქარა შეგატყობინებთო. ამრიგად გამგეობის პასუხი ტფილისში დღეს არის მოსალოდნელი, ან ხვალ, 29 აგვისტოს.

როგორც გავიგეთ, ტფილისის უმაღლესმა მთავრობამ გაფიცვის პირველ დღესვე განკარგულება მოახდინა, დაუყოვნებლივ გამოიწვიონ რკინის გზის სხვა და სხვა შტოდან სარკინისგზო ბატალიონის ჯარის-კაცნი, რომელთაც შეუძლიათ ვატმანისა და კონდუქტორების საქმის შესრულება. ჯარის კაცებს ადმინისტრაცია დირექციას მიაშველებს ტრამვაის მოძრაობის აღსადგენად.

ტრამვაის მოძრაობის შეწყვეტამ, რასაკვირველია, დიდად შეაწუხა მცხოვრებნი და თანაც მეეტლეთა ხელში ჩაჰყარა. მეეტლენი იმდენად გათამამდნენ, რომ მგზავრები ხშირად ქალაქის განაპირა ადგილებში აღარ მიჰყავთ, რადგანაც შუაგულ ქალაქში მეტს შემოსავალს მოელიან. განაპირა ადგილებში ძველებურად აღდგენილ იქმნა „ლინეიკებისა“ და დახჯღრეულ ეტლების მოძრაობა. ამ ეტლებში ხალხი 15 კ.-დან 30 კ.-მდე იხდის.

ტრამვაის დირექციას გაფიცვა ძვირად დაუჯდება, რადგანაც ყოველდღე აკლდება ჩვეულებრივი შემოსავალი ოთხას-ხუთასი თუმანი. ამას დაუმატეთ ჯარიმა დღეში ხუთას თუმნამდე, რომლის მომხრეც არის ქალაქის გამგეობა და მაშინ დიდი ჯამი შესდგება—10,000 მანეთამდე. ჯარიმის საკითხს საბოლოოდ ქალაქის საბჭოს სატრამვაიო კომისია გადასწყვეტს.

მსოფლიო გამოფენა ქ. განში

(ერთის თვალის გადავლებით)

(შემდეგი *)

ინგლისი.

როგორც გულწრფელად მორწმუნე მოწიწებით შესდგამს ფეხს საწაულ-მოქმედებით განთქმულ ხატის ეკლესიაში, ისე კრძალვით მივადექი ინგლისურ განყოფილებას. გულის ფანცქალით მოველოდი, თუ რას ვნახავდი იქ! თუ რას მიჩვენებდა ქვეყნიერების კიდით-კიდემდე დიდებული, თავის ღირსება-პატივის მედგრად დამცველი, მაგრამ იმავე დროს სხვის უფლებისა და ღირსებისაც არ დამვიწყებელი ინგლისი. შევედი, ერთ ხანს შევჩერდი და შორიდან დავუწყე თვალიერება. ინგლისი არა ბზინავს და არა ბრწყინავს. ოქროს ვარაყს აქ ვერ ნახავ. ის მუქია, მოქუშულ-მოღრუბლულია, როგორც მთაზე დამყურე მუდამ ნისლ-ბურუსიანი ცისა კამარა. ის არ ცდილობს აათამაშოს შენი გრძნობა, არც კრიალოსანზე მიბმულ ჯვარცმას წაღმა-უკუღმა ატრიალებს. ის შოკოლადით არ გიმასპინძლდება, არც იმას ცდილობს, რომ ყალბი თუ ნამდვილი ოქრო-ვერცხლეულობის ზიზილ-პიპილი მოგაჩვენოს. ის მოქმედობს შენს ჭკუა-გონებაზე, მას სახეში ჰყავს არა ერთი და ორი, ან ზოგიერთი რჩეული, არამედ ყველა, მთელი კაცობრიობა. ის ცდილობს საერთოდ ცხოვრების გაადვილებას და გაუმჯობესებას. ამიტომ ყველა მის ძლიერ გამოფენილ ნივთს პრაქტიკულ ცხოვრებაში უსაჭიროესობის ბეჭედი აკრავს.

პირველად მას გახსენებია ის, ვინც სხვას დავიწყებია, როგორც აქ გამოფენაში, ისე სამწუხაროდ ხშირად გამოფენის გარეშე. მას გახსენებია პატივაყრილი, სულით და ხორცით შევიწროებული, ხშირად უმართლოდ დასჯილი ტუსაღი, პატიმარი. ამ ნაირად ინგლისელების პირველი განყოფილება პატიმართა განყოფილება აღმოჩნდა. გამოფენილია ნიმუშებით საპატიმროები და მთლად პატიმართა ცხოვრება, როგორც თვით ინგლისში, ისე მათ უთვალავ ახალშენებში. რა თქმა უნდა, რუსულ საპატიმროებთან მათ საერთო არა აქვთ რა. მთავარ ყურადღებას იპყრობს სახლები პატიმართათვის; ერთსართულიანი, მრავალ ოთახებად დაყოფილი, ირგვლივ ფართო მწვანე ეზოთი. სხვა და სხვა სახელოსნო პატიმართათვის,—სამჭედლო, საზეინკლო, სადურგლო, სახარაზო და სხვ. და სხვ. სტაჟბა პატიმართათვის, ბიბლიოთეკები, სამკითხველო, ბაღი და სხვ. ერთი შეხედვით ინგლისური საპატიმრო ავადმყოფთა თავშესაფარი გეგონება და არა სასჯელის მოსახდელი დაწესებულება; და მართლაც, როგორც სჩანს, ინგლისელი პატიმარს და საზოგადოდ დანაშაულის ჩამდენს ისე უყურებს, როგორც ავადმყოფს და ამიტომ უფრო მის გასწორებას აქცევს ყურადღებას და არა მის დასჯა-შეწუხებას. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ინგლისში, ჩვენში ძლიერ განვითარებული ეგრედწოდებული პოლიტიკური დანაშაული, არ არსებობს, ადვილი წარმოსადგენია, თუ ვის ატუსაღებენ იქ. რა თქმა უნდა, ქურდს, მოჩხუბარს, კაცის მკვლელს და ამისთანებს. მაგრამ ყველა ეს ძლიერ რთული ფსიხოლოგიური მოვლენაა. მათი მიზეზის გადაჭრა არც ისე ადვილია, ხოლო მათი აღმოფხვრა მსხვილი ბორკილებით, ჭუჭყიან სახლებში დამწყვდევით და თოფის კონდახის ცემით შეუძლებელია. და აი კიდეც ინგლისელს სხვა საშუალებისთვის მიუმართავს. იგი დამნაშავეს აპატიმრებს, ე. ი. აშორებს დანარჩენ საზოგადოებას, მაგრამ ხელ-ფეხს კი არ უკრავს. პირიქით აძლევს საშუალებას ისუნთქოს წმიდა ჰაერით, აჭმევს კარგად, აძლევს სახსარს ავარჯიშოს თავისი ხელი, ჭკუა და გონება, რომ გასწორებული, მშრომელი და მშვიდობიანი მოქალაქე კვლავ დაუბრუნდეს საზოგადოებას.

პატიმართა განყოფილებას მისდევს ჰიგიენური განყოფილება. გამოფენილია კაცის სხეულის სხვა და სხვა ნაწილი, ზოგი ნამდვილი, სპირტში, ზოგი ხელოვნურად გაკეთებული, დაზიანებული სხვა და სხვა სნეულებით. ნათლად წარმოდგენილია, თუ როგორ იბადება რომელიმე სნეულება ადამიანის სხეულის ამა თუ იმ ნაწილში, როგორ თან და თან ვითარდება, ვრცელდება სხვა ნაწილებში, აზიანებს სხეულს და ბოლოს სიცოცხლესაც უსპობს. აქვეა ელექტრონით მომართული მრავალი მიკროსკოპი, სადაც ყველა მსურველს შეუძლიან დაათვალიეროს სხვა და სხვა სენის მიკრობების სახე, როგორც ხოლერისა, ჭლექისა, ათაშანგისა, შავიქირისა და სხ. გამოფენილია, ცხოველები, შინაური და გარეული ფრინველები, რომელთაც გადააქვთ სხვა და სხვა სენი ერთი ადგილიდან მეორეზე და მათი ამოსაწყვეტი საშუალებანი.

ხელოვნურად წარმოდგენილია, თუ როგორი უნდა იყოს ჰიგიენური სამოსახლო. გაკეთებულია ფართო რელიეფი. აქ არის ფერდობიც, სწორი ადგილიც, ნესტიანიც, ტყიანიც, წყლიანი და უწყლო. აი აგერ მდიდრის სასახლე, ორ-სართულიანი დიდი შენობა მშვენიერი ბაღით და სხვა საჭირო შენობებით; აგერ კიდევ დიდი, მაგრამ ერთ-სართულიანი შენობა ეზოთი და ყოველგვარი მოწყობილობით, იქ კიდევ უფრო მდარე მოსახლეობა, კიდევ უფრო მდარე. და აი საწყალი კაცის ჩალით დახურული ქოხი. ეს სამოსახლოები სიმდიდრით და მოწყობილობით, რა თქმა უნდა, ძლიერ განირჩევა ერთმანეთისაგან, მაგრამ, როცა დააკვირდები, შეამჩნევ, რომ მათ შორის მსგავსებაც არის. ყველგან, მდიდრის სასახლე ის თუ ღარიბის ქოხი, ოთხს რამეზეა მიქცეული ყურადღება. სახელდობრ, თუ სად უნდა იდგეს ეზოში საცხოვრებელი სახლი, სად უნდა იყოს ფეხის-ალაგი, ჭა და ნაგავის გადასაყრელი ორმო. ეს ოთხი უსაჭიროესი რამ ცხოვრებაში ყოველგან ერთ გეგმაზეა მოწყობილი. უნდა შევნიშნო, რომ ინგლისური იდეალური მოსახლეობა ჩვენებურ იმერულს ძლიერ წააგავს. სახლი ეზოს შუაგულ, ფეხისალაგი უკან ერთ-ერთ კუთხეში, იმ მხრივ საითკენაც უფრო დაბლობია, ეზოში უფრო ამაღლებულ ადგილზე ჭა და სხ.

ამას მოსდევს გემების განყოფილება. გამოფენილია გემების უთვალავი ნიმუშები. გემების სიმრავლე-სიკარგით ინგლისს, ხომ ვერც ერთი სახელმწიფო ვერ შეედრება მთელი დედამიწის ზურგზე და გასაკვირველიც არაა, რომ ნიმუშებიც კარგი იყოს. მაგრამ ერთი ნიმუში ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებს. მისთვის ცალკე ადგილია მომზადებული მაღლობზე, რამდენიმე ალაგას კიბეებია მიდგმული, შეგიძლიან ახვიდე და ახლო დაათვალიერო. გემის ნიმუში სიგრძით ოთხი საჟენი იქნება. იგი შვიდ-სართულიანია, სამი ქახრაკი აქვს და ზედ ბაქანზე ორმოც-და-ათი დიდი ნავია მოთავსებული. ეს გემი კი არა, პირდაპირ მოძრავი ქალაქია. კიდევ ბევრი რამ იყო იქ ახლო-მახლო საინტერესო, მაგრამ სამწუხაროდ დრო ნებას არ მაძლევდა შევჩერებულიყავი, რადგან აუარებელი მრჩებოდა კიდევ თვალ-გადასავლებელი, თან ამოძრავებული მანქანების ხახა-ხუხი თავისკენ მიწვევდა...

შევდგი ფეხი ინგლისელების სამანქანო განყოფილებაში. აბა როგორ ვსთქვა! პირველ წუთს არ ვიცოდი საითკენ წასულიყავი და რომლისთვის შემეხედნა. საითკენაც მივიხედე, თვალს ყველგან ელვის სისწრაფით მოტრიალე სხვა და სხვა სიდიდის ბორბლები ხვდებოდა. აი, აგერ უშველებელი, ოთხკუთხად გარანდული. რკინა, სწორედ მუხის დიდ კუნძსა ჰგავს, ფართო ურემზეა დამაგრებული და წამ და უწუმ გადის და გამოდის, ზედ პატარა, მოკაუჭებული, გარეგანი შეხედვით

სრულებით უმნიშვნელო დანა აწვ
ბა და ის სთლის, თითქო ნედ
თხილის საჩიჩილაკე ხე იყოს. აგ
კიდევ ბურღი, სისქით ექვს გ
ჯიან რკინას თვალის დახამხამებ
ხვრეტს. აგერ კიდევ ხის სახერ
მანქანები. არავითარი მსგავსება ა
აქვს ჩვენში ხის სახერ მანქანებ
წოდებულებთან.

გავიარე მთელი ამოძრავებულ
ტყე სხვადასხვა მანქანისა და აი
თვალ წინ დიდი, ფარჩის საქს
მანქანა. ზედ აწერია: „ბროტჰე
მანჩესტერი“. მანქანა ამოძრავებ
ლია. ფერად-ფერადს ყვავილებ
მოხატულ ფარჩასა ქსოვს და
უზარმაზარ რთულ მანქანას მხოლ
ერთ-ერთი პირმშვი და პირმოპ
სული ინგლისელი ხელმძღვანელობ
ის ხან აქ დააჭერს ხელს,
იქ, ხან ამ ბორბლის მოძრაობა
ჩერდება, ხან იმისა, ხან მაღლა
რომ ქსოვილისთვის სხვა და ს
სახის მიმცემი ფორმა გაასწორ
უთვალავი ბორბალი მოძრაობს, რ
ნის სავარძელს ტკაცუნი გაუდის
ყაითნით სავსე მაქო ხტის და გამ
ხტის.

აქვეა აუარებელი საფეიქრო მანქ
მაუდებისა, თუ ხავერდისა. ყველ
ამოძრავებულია.

გამოფენილია ინგლისური საყ
რი სრული მოწყობილობით და
კურთხევლით. როგორც თავიანთ
ტიპიკონით ინგლისელები გან
რჩევიან ეგრედ წოდებულ მართლ
მადიდებლებისაგან, კათოლიკების
გან და ლოთრანგებისაგან,
მათი საყდარიც და მისი მოწყ
ლობაც განირჩევა, ის თითქო ყ
ლის მოგაგონებს და იმავ დროს ა
ერთს არა ჰგავს. აღსანიშნავია, რ
ეკლესიის ნივთებიც არ ბრწყინა
და არ ბზინავს; იქ ყველაფერი საღ
მაგრამ მკვიდრი და სუფთა.

გამოფენილია სხვა და სხვა ჭურ
ჭლეულობა და უანგარიშო სხ
რამ, მაგრამ მე უკვე კარებისკენ მ
ვემართები.

უიარელი.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 978.

მეფის მოადგილის მოხსე ნება კავკასიის შესახე

მეფის მოადგილეს ხელმწიფისათ
ვის წარუდგენია უქვეშევრდომილ
სი მოხსენება. პეტერბურგის გაზ
თებში დაბეჭდილია მოკლე შინაარ
სი ამ მოხსენებისა.

ყველაზე უწინარეს მეფის მოადგ
ლე ეხება კავკასიელ ერთა პოლ
ტიკურს მიდრეკილებას და უმთავ
რეს ყურადღებას აქცევს სომხებ
„სომხეთა საკითხიო, ამბობს მეფ
მოადგილე: რუსეთის საზღვრებ
ჩვენ თვითონ შევქმენით მით, რო
ფრთხილად არ მოვეპყარით მათ ს

შვეიცარია

შვეიცარიის მთებს შორის ერთი უდიდესი და უმშვენიერესი ბლიუმბლიზალპი ე. ი. ყვავილის ალპია. მისი ფართო, ფიფქი თოვლით მოვერცხლილი მკერდი დასავლეთისკენ არის მიპყრობილი, ხოლო მის მწვანით შემოსილს ძირთან განმარტოებით ოცნებობს პატარა ლურჯი ტბა. ხალხის თქმულება ამბობს, რომ ეს ალპი ოდესღაც სამოთხის ერთი ბაღი ყოფილა და ხელახლა ბაღი გახდება, როცა ამ ქვეყნად ყოველი უსამართლობა მოისპობა; მაგრამ რათა ადამიანში სავსებით არ დაიხშოს ოცნება იმ ბედნიერს დროზე, მზე ჩასვენებისას ალისფერი ვარდებით ჰქარგავს ამ მთის მაღლა აღტყორცნილს, ცივს მწვერვალს.

ღრმა პოეტური ჭეშმარიტებაა დაფარული ამ ხალხურს თქმულებაში. თუ ადამიანის სულში მართლაც მალულად არსებობს შინაგანი სამოთხე, თუ მის გულში მართლაც ჰღვივის ღვთაებრივი ლტოლვა კეთილშობილებისადმი, ამ სამოთხის აღმოჩენა, ამ ლტოლვის გაცხოველება არაფერს არ ძალუძს ისე, როგორც ბუნების მშვენიერებას. შეიძლება თვით ხელოვნებასაც კი არა. მიტომ რომ ხელოვნება კულტურის ნაყოფია, ბუნებასთან კი ადამიანი დაკავშირებულია მთელი თავისი არსებით: მისი წიაღი ისევე მიმზიდველი და ალერსიანია, როგორც დედის მკერდი.

განსაკუთრებული ელფერი ეძლევა მშვენიერს ბუნებას, როცა მას კულტურაც ეულლება: ის ჰკარგავს ველურს ქალწულებრივობას, მაგრამ სამაგიეროდ რაღაც გამოუთქმელად ინტიმურს ხასიათს იღებს. ნახევრად დანგრეული ტაძარი, ან ხავსით შემოსილი, ფრიალო კლდეზე დაკიდული ციხე, ან კიდევ ღვთის მოსავი მწირის სენაკი, პიტალო ქვაში შექრილი, გვამცნობს რომ ასი და ათასი წლის წინად უცხოვრია და მაშასადამე უბრძვია და უტანჯია ადამიანს. შეიძლება მაშინ იმასაც იმის მსგავსი აზრები განუცდია, როგორსაც განიცდი ეხლა შენ მხიარული მდელოს, უღრანი ტყის ან ცაში აზიდული მთის წინაშე. არის რაღაც დიადი და ამამაღლებელი ამ გრძნობაში, განმანთავისუფლებელი და განმასპეტაკებელი ყოველდღიური ცხოვრების ჟანგისაგან.

შვეიცარიაში ამ გრძნობას ადამიანი ყოველი ფეხის გადადგმაზე განიცდის: მიტომ რომ ეს პატარა ქვეყანა დაჯილდოვებულია მშვენიერის ბუნებით და აღჭურვილია ძველი, მდიდარი კულტურით.

ამ კულტურის დასაწყისი პრეისტორიულს ხანაში იკარგება: გამოქვაბულები ჩრდილო იურაში და ჩრდილო ალპებში, ტბებზე ნაგები შენობების ნაშთები შუაგულ შვეიცარიაში ნათლად მოწმობენ, რომ აქ პირველყოფილს ადამიანს უცხოვრია ძლიერ დიდი ხნის წინად ჩვენი წელთ აღრიცხვის დაწყებამდე. პირველ სანდო წერითი ცნობას შვეიცარიის შესახებ ცეზარი იძლევა: ამ ცნობის მიხედვით იურასა და ალპებს შორის პირველ საუკუნეში ქრისტეს დაბადებამდე სცხოვრობდა 300.000 სული ხალხი გალლო-კელტიური წარმოშობისა — ჰელვეციელებად წოდებულნი. ცეზარმა დაიპყრო ეს ხალხი (ბიბრაქტან ბრძოლა 58 წ. ქ. შ.) და რომის პროვინციას, გალლიას, შეუერთა ის.

სამას-ორმოცდა ათი წლის განმავლობაში ჰფლობდნენ რომაელები ჰელვეციას: მათმა კოლონისტებმა აქ შემოიტანეს და გაავრცელეს ლათინური ენა და მაღალი რომაული კულტურა, გააშენეს ქალაქები (სხვათა შორის მარმარილოს კედლებიანი დედაქალაქი ავენტიკუმა), გაიყვანეს გზები, გათხარეს არხები, ააყვავეს მეურნეობა და მეღვინეობა. მეხუთე საუკუნის დასაწყისში ამ კულტურას ბოლო მოუღეს ველურმა გერმანელმა ტომებმა, პროვინციის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი დაიჭირეს ქერა, ცისფერ თვალებიანმა ალლემანებმა, ხოლო დასავლეთი—ბურგუნდებმა; უფრო გვიან მათ ლონგობარდებიც მოჰყვათ (ეხლანდელ იტალიურ შვეიცარიაში). პირველთ ამოსწყვიტეს დაპყრობილი ხალხი, გაანადგურეს ქალაქები (ავენტიკუმი უკვე 264 წ.) და წმინდათ შეინარჩუნეს ძველი გერმანული ენა და ზნე-ჩვეულებები. მეორეები კი ჩქარა გაითქვიფენ გალლო-რომაულს მასსაში და მისი ენა შეითვისეს. ამგვარად დაედო საფუძველი თანამედროვე შვეიცარიის სამს ერს: ალლემანური წარმოშობს გერმანელებს (ცენტრში, ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ ნაწილში), გალლო-რომაელების და ბურგუნდების შერევისაგან წარმომდგარ ფრანგებს (სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში) და რომაულ-ლანგობარდულ იტალიელებს (სამხრეთი კუთხეში).

მეშვიდე საუკუნის დასაწყისში შვეიცარიამ ქრისტიანობა მიიღო, მერვე საუკუნის მეორე-ნახევარში ის კარლოს დიდის სამეფოში შევიდა შემადგენელს ელემენტად. ამ ორს გარემოებას კულტურის აღორძინება მოჰყვა შედეგად. დაარსებულ იქმნა ახალი ქალაქები, მონასტრები, რომელნიც მწიგნობრობისა და განათლების ცენტრებად იქცნენ. ციხე-კოშკები და ეკლესიები. საშუალო საუკუნეებში შვეიცარია ტიპიური ფეოდალური ქვეყანაა. მეთერთმეტე საუკუნის დასაწყისიდან ის დაკავშირებულია გერმანიის იმპერიასთან და დაყოფილია პატარ-პატარა საგრაფოებათ (სავოის, ჟენევის, ჰაბსბურგის, ტოგგენბურგის საგრაფოს და სასულიერო ტერიტორიებათ (სიონის, კონსტანცის, ბასელის საეპისკოპოსო, სენგალენის სააბატო). მათ გვერდზე არსებობს რამოდენიმე ქალაქი ცეხური წესწყობილებით.

1273 წ. ჰაბსბურგის გრაფი რუდოლფი გერმანიის იმპერატორი ხდება და ამ ხანიდან იწყება ხანგრძლივი ბრძოლა ჰაბსბურგის დინასტიასა და შვეიცარიის შორის, რომელიც ამ უკანასკნელის გამარჯვებით და გერმანიის იმპერიიდან გამოსვლით თავდება. ჯერ კიდევ მეცამეტე საუკუნის მეორმოცე წლებში ორმა პატარა ტყის კანტონმა, შვიცმა და ურიმ, შეჰკრეს „მუდმივი კავშირი“ და ფიცი დასდეს, რომ დაიცავენ საკუთარ უფლებებს და თავისუფლებებს. ასე წარმოსდგა „ფიცის კავშირი“, რომელსაც ჩქარა უნტერვალდენიც შეუერთდა. 1315 წ. ახალგაზრდა კავშირმა დაამარცხა ავსტრიელები მორგარტენთან და იმავე წელს ბრუნენში ხელახლა განიმეორა „მუდმივი ერთობის“ ფიცი. მეთოთხმეტე საუკუნის განმავლობაში კავშირს ახალი კანტონები მიემხრნენ: ლუცერნი, ციურიხი, გლარუსი, ცუგი, ბერნი). იმავე საუკუნის გასულს „შეფიცულებმა“ ხელახლა რამოდენიმეჯერ დაამარცხეს ავსტრია (განსაკუთრებით სასტიკად ზემპახთან 1386 წ.) და საბოლოოდ დაამხეს მისი ძალა შვეიცარიაში.

მეთხუთმეტე საუკუნეში გაძლიერებული კავშირი თავდაცვისაგან თავდასხმაზე გადადის. ამ ხანაში ყველაზედ საინტერესოა სენტ-იაკობის შეტაკება, სადაც 1500 შვეიცარიელი ოცდა-ათჯერ უფრო ძლიერს მტერს ეკვეთა და თითქმის უკანასკნელ კაცამდე გაწყდა და მურტენის ბრძოლა (1476 წ.), სადაც მათ ბრწყინვალეთ გაიმარჯვეს ბურგუნდელების მეფესა და შესანიშნავს მხედართ მთავარ კარლოს მამაცზე.

ამ ომებმა დიდი ძალა მოუხვეჭა შვეიცარიას; ამასთან ერთად შიში და პატივისცემა მთელს ევროპაში. მაგრამ როგორც ხშირად ჰხდება ხოლმე, გარეგნულ ბრწყინვალებას ჩქარა ზნეობრივი მოდუნება მოჰყვა. როცა ხალხი დიადი ეროვნული უფლებებისა და იდეალებისათვის იბრძვის, ის უძლეველია, მაშინაც კი როცა მცირერიცხოვანია. ის თერმოპილელ სპარტანელებივით ხშირად ზნეობრივად გამარჯვებულია მაშინაც კი, როცა მას მტერი ფიზიკურად წელში სტეხს და ანადგურებს. პირიქით, როცა ხალხში ეს იდეალისტური აღფრთოვანება ჰქრება, მას ვერავითარი გარეგნული ძალა ვერ იხსნის შინაგანი დაქვეითებისა და დასუსტებისაგან.

ასეთი ზნეობრივი კრიზისი განიცადა შვეიცარიამ მეთექვსმეტე საუკუნეში: თავისუფლების იდეის ადგილი ინტერესის იდეამ დაიჭირა, შეფიცულთა რაზმები დაქირავებულთა რაზმებმა შესცვალეს. საფრანგეთის სამეფომ, რომის კურიამ, ვენეციის და მილანის რესპუბლიკებმა შეადგინეს მთელი ჯარები ასეთ დაქირავებულ შვეიცარიელთა, რომელნიც ფულის გულისთვის სხვის საქმეს ემსახურებოდნენ. სიმდიდრეს ფუფუნება მოჰყვა, ფუფუნებას-მოდუნება.

ამას ზედ დაერთო სარწმუნოებრივი განხეთქილება, არა ნაკლებ სახიფათო ეროვნული მთლიანობისთვის; ერთსა და იმავე დროს სხვა და სხვა ადგილზე დაიწყო რეფორმაციის მოძრაობა (ციურიხში ულრიხ ცვინგლი, ჟენევაში, კალვინი, ბერნში ბერტოლდ ჰალლერი) და ქვეყანა 2 მოპირდაპირე ბანაკად გაიყო. უძველესმა პატარა კანტონებმა შეინარჩუნეს კათოლიკობა, ბერნი, ციურიხი, ჟენევა და ნევშატელი კი რეფორმაციას მიემხრნენ. ამ სარწმუნოებრივს ომში, რომელიც დროგამოშვებით თითქმის მეცხრამეტე საუკუნემდე გაგრძელდა, ბედი ხან პროტესტანტებს სწყალობდა, ხან კათოლიკებს. 1843 წ. ამ უკანასკნე

ლებმა ლუცერნის და ფრიბურგი
მეთაურობით დაარსეს ცალკე კავ
შირი („ზონდერბუნდი“): 1847
ეს კავშირი დამარცხდა და იძულე
ბული გახდა საბოლოოდ შეერთე
ბოდა პროტესტანტულ უმრავლე
სობას.

მაგრამ მორალური ძალის და ერო
ნული გრძნობის შესუსტება არსად
გამოხატულა ისე აშკარად, როგორც
ეგრედ წოდებულ „ქვეშევრდომთა
ტერიტორიების“ ინსტიტუტში. რო
გორც ზევით ვსთქვი მეთხუთმეტ
საუკუნის დასასრულიდან ძველმა
კანტონებმა ბევრი ახალი ტერიტო
რია დაიპყრეს ან შეიკავშირეს: მა
გრამ შეიკავშირეს არა სრულუფლ
ბიან წევრებათ, არამედ „ქვეშევრდო
მების“ სახით. მაგალითად, ეხლანდე
ლი კანტონი ვო დედაქალაქ ლოზა
ნათი, ორ-ნახევარ საუკუნის განმავ
ლობაში ბერნის ქვეშევრდომი პრო
ვინცია იყო. გაბატონებულს კანტო
ნებში დემოკრატია თანდათან შე
სუსტდება და ბაზელსა, შაფჰაუზენს
და ციურიხში ცეხურს არისტოკრა
ტიას დაუთმო ადგილი, ხოლო ლუ
ცერნში, ფრიბურგში და ბერნში
პატრიციატს. ტყის კანტონებმა (ური
შვიცი, უნტერვალდენი) შეინარჩუნე
დემოკრატიული წესწყობილება, მა
გრამ ეს დემოკრატიაც ისევე ულმო
ბელად განაგებდა ქვეშევრდომთა მი
წა-წყალს, როგორც არისტოკრატია
კანტონებს ურთიერთ შორის არ
აკავშირებდა არც ერთობის გრძნო
ბა, არც რაიმე ცენტრალური მთავ
რობა. მხოლოდ სუსტი კონკორდა
ტი და მოწმობდა „ფიცის კავშირის“
აღრინდელს სიძლიერეს.

ცხადია, რომ ასეთი ქვეყანა ვერ
გაუძლებდა ძლიერ გარეშე ტალღას
შვეიცარიის მდგომარეობა მეთვრა
მეტე საუკუნის დასასრულს რამო
დენიმედ საქართველოისას წააგავს
ერთი უმთავრესი განსხვავება იმაშია
რომ მას ისტორიულმა ბედმა კულ
ტუროსანი მეზობლები არგუნა, ხო

---

*) შვეიცარიელი თავის სახელმწიფოს დღესაც „ფიცის კავშირს“ უწოდებს, ხოლო თავის თანამოქალაქეს „თანაშეფიცულს“ (ეიდგენოსსე).

რწმუნოებრივს და ეროვნულს რწმენებს. არავითარი სეპარატიზმი სომეხთა შორის არ არსებობს. ნაციონალისტური მოძრაობა, რომელსაც თან მოჰყვა ტერორისტული აქტები მთავრობის წარმომადგენლების წინაალმდეგ, — გამოიწვია საეკლესიო მამულების ჩამორთმევამ და იმ წამსვე ჩაჰქრა, როგორც კი მამულები დაუბრუნდათ სომხებს. რასაკვირველია სომეხთა შორისაც არიან რევოლუციონერები, ისე როგორც თვითონ რუსეთშიაც, მაგრამ შეუძლებელია ვილაპარაკოთ მთელი სომხის ერის რევოლუციონერობაზე. ამიტომაც სრულიად უნიადაგოა სეპარატისტობა დავწამოთ სომხებს, პირ-იქით ნამდვილი ფაქტები სულ წინაალმდეგს გვიმტკიცებენ. სომხები ოსმალეთის სომხეთის რუსეთთან შემოერთებასაც კი სცდილობენ...

რაც შეეხება ქართველებს, იმათ სეპარატისტობას იშვიათად სწამებენ და ისე უსაბუთოდ, როგორც სომხებს. თუ საგანს კარგად ჩავუკვირდებით, ნათლად დავინახავთ, რომ ქართველ ნაციონალისტებს ერთი რამ სწადიათ: ალიარებულ იქმნას ქართველების თავისებურობა სახელმწიფოებრივ ხასიათის ადგილობრივ დაწესებულებებში. ქართველი ნაციონალისტების ყველაზე უფრო მწვავე საკითხი საქართველოს ეკლესიის შესახებ ეგზარხოსის ინოკენტის გასაოცარის ენერგიისა და ტაქტის შემწეობით გადაიქცა წმინდა თეორეტიულ საკითხად, რომელიც მოითხოვს მომავალში საეკლესიო კანონმდებლობის განსაზღვრას.

ამ გვარადვე მოკლებული არიან განშორების წადილს კავკასიის მაჰმადიანებიც და ყოვლად უნიადაგოა მათ შორის პანისლამიზმის ქადაგება.

„რომანოვების სამეფო სახლის სამასი წლის იუბილე ისეთის პატრიოტულის გრძნობის აღფრთოვანებით იდღესასწაულა კავკასიის ყოველმა მიყრუებულმა კუთხემაც კი, რომ ყოველ ეჭვს გარეშეა უსაზღვრო მადლობა და სიყვარული კავკასიის მცხოვრებთა რუსეთის ხელმწიფეებისადმი. ამასთანავე არ შემიძლიან არ აღვნიშნო ეროვნულის სიამაყით' რომ დღეს კავკასიელები წინანდელის ნდობით ეპყრობიან მთავრობას.

გარეგნულად კავკასიის დამშვიდება გამოიხატა დანაშაულობათა რიცხვის შემცირებით. თუ 1907 წ. მკვლელობის, დაჭრის, ძარცვა-ავაზაკობის რიცხვი 17300 იყო, 1912 წელს იგი შემცირდა 8350-მდის.

რათა მომავალში უზრუნველყოფილ იქმნეს მოქალაქობრივ—საზოგადოებრივ ცხოვრების წესიერი განვითარება და გაძლიერდეს რუსული კულტურის გავლენა ხალხზე, მეფის მოადგილეს საჭიროდ მიაჩნია სხვა და სხვა რეფორმის განხორციელება: რუსული სკოლების გამრავლება, საბოლოოდ მოწესრიგება სადგილ-მამულო ურთიერთობისა, მაჰმადიანთა სამღვდელოების განათლება, სასამართლოების გადაკეთება, შემოღება ერობისა, მოწესრიგება ადგილობრივ მკვიდრთა სახელმწიფო სამსახურში მიღებისა, საყოველთაო სამხედრო ბეგრის დაწესება და სხ.

რაც შეეხება ეკონომიურს მდგომარეობას, 1905—6 წლების არევ-დარევის შემდეგ კავკასიის კეთილდღეობა დღეს უკვე აღდგენილია, თუმცა ჯერ კიდევ მრავალი შრომაა საჭირო მისი განვითარებისათვის.

სავაჭრო-სამრეწველო მოღვაწეობას ახასიათებს სახელმწიფო ბანკის შემდეგი ცნობები: კავკასიამ 1911 გაყიდა 326,3 მილ. მანეთის საქონელი. ხოლო იყიდა 281,7 მილ. მან. ამასთანავე კერძო ბანკების ცნობებით, ნაყიდ-გაყიდულის ჯამი რამდენჯერმე აღემატება სახელმწიფო ბანკის ხელში გავლილ ჯამს.

ბანკის კრედიტი 1905 წ. იყო 150 მილიონი, ეხლა კი 500 მილიონია. წვრილი კრედიტის დაწესებულება უკანასკნელი 8 წლის განმავლობაში 10-ჯერ გამრავლდა, მათი წევრების რიცხვი იყო 285 ათასი, ეხლა 634 ათასია და შეტანილი ფული 15 მილიონი. შემნახველ კასებში შენახულია 80,4 მილ. მანეთი, და შემნახველთა რიცხვი 361 ათასია. მატულობს სააქციონერო წარმოებათა რიცხვი, იზრდება უცხოეთის კაპიტალი, ნამეტურ ნავთის წარმოებაში.

კეთდება ახალი გზები და გაკეთებული უმჯობესდება. კერძო კაპიტალი დიდს მონაწილეობას იღებს რკინის-გზების გაყვანაში. მეფის მოადგილე განსაკუთრებულს მნიშვნელობას აძლევს უღელტეხილის გზას.

რუსების გადმოსახლება მტკიცე ნიადაგზეა დაყენებული და რუსები მტკიცედ იკიდებენ ფეხს კავკასიაში. დიდი მნიშვნელობა აქვს მუღანის, მილის და შირვანის მინდვრების მორწყვას. ამას გარდა საჭიროა შავი ზღვის ნაპირების მომზადება რუსების დასასახლებლად.

მიღებულია ზომები სასოფლო მეურნეობის განსავითარებლად. აღსანიშნავია ბამბის მოყვანის განვითარება ბოლო წლებში.

პირველ - დაწყებითი სკოლების რიცხვი 8 წლის განმავლობაში იმატა 30 პროცენტით, ხოლო მოსწავლეთა რიცხვმა 50-ით. იმატა სხვა სასწავლებლის რიცხვმაც.

მეფის მოადგილის მოხსენებაში ხაზგასმულია, რომ რუსულმა სკოლამ დიდი სიყვარული დაიმსახურა კავკასიელთა შორის.

დასასრულ მეფის მოადგილე საჭიროდ სთვლის, რომ ნამესტნიკობა აუცილებლივ დარჩეს და უფრო მჭიდროდ დაუკავშირდეს ცენტრალურ მთავრობას.

გორის ამბები

პარასკევს, 23 აგვისტოს, საქალაქო ბაღში, კავკასიის სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოების ადგილობრივმა განყოფილებამ თავის საშუალებათა გასაძლიერებლად გამართა სეირნობა-ლატარია-ალეგრით. გორის საქალაქო ბაღი ორადაა გაყოფილი, ორი სხვა და სხვა სამეფოა, ერთმანეთთან ახლოს მყოფი, მაგრამ ამასთანავე ერთმანეთს ფრიად დაშორებული. ერთში—შემოზღუდულ-შემოფარგლულში, სადაც მოთავსებულია კლუბი, განათებულია ელქტრონით, გამართულია ბავშვთათვის სათამაშოები, ამოყვანილია წყალი, ერთი სიტყვით, ყველაფრით მოწყობილია, განისვენებს გორის „არისტოკრატია“, მეორეში კი, აქვე, ფარგალს გარედ, სიბნელეში, მოუწყობლობაში დაფრატუნობს დემოკრატია, ისვენებს დღიურ მუშაობით მოღალულ-მოქანცული...

სეირნობები, ჩვეულებრივ, იმართება ხოლმე პირველში, ე. ი. „კლუბის ბაღში“ და ამ ჟამად არც იყო გამოცხადებული აფიშებში, მაგრამ ჩემს გაკვირვებას საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც „დემოკრატთა ბაღის“ ქვემო შესავალთან მაგიდა დავინახე და მის გვერდით ბილეთების გამყიდველი. თვალს არ ვუჯერებდი, იშვათი შემთხვევა რამ იყო, მეგონა თუ შევცდენ მეთქი, მაგრამ მალე დავრწმუნდი, რომ ასეთივე მაგიდა იდგა ბაღის ზემო შესავალშიც, ასეთივე მაგიდა იდგა „კლუბის ბაღის“ შესავალთანაც...

ნუ იფიქრებს სომეხთა საქვ. საზოგადოების გამგეობა, რომ მე რაიმე ქვენა გრძნობა მალაპარაკებდეს, პირიქით, პატივსა ვსცემ მის მიზანს და მოქმედებას, მაგრამ არ შემიძლიან არ ვუსაყვედურო მას ერთხელ და (ვგონებ) სამუდამოდ მიღებულ წესების დარღვევისათვის. ბილეთები იყიდება ხოლმე მხოლოდ „კლუბის ბაღის“ შესავალთან და არა საქალაქო ბაღის ზემო და ქვემო შესავლებთან, როგორც ამჟამად მოქცეულიყვნენ. ამიტომაც იყო, რომ ღარიბი ხალხი, ბაღში დასასვენებლად მოსული, ბრუნდებოდა უკან და საყვედურს უცხადებდა ქალაქის „მამინაცვლებს“... აკი ჭაჭანებათაც არავინ იყო ბაღში იმ ღამეს!..

არ ვიცი, იცის თუ არა ეს ბ. ქალაქის თავმა, ან თუ გაიგო, რა ღონისძიება მიიღო, ეს კია, რომ ბევრი ვეძებეთ იმ საღამოს ბ. ქიტიაშვილი, ვეძებეთ მისი თანაშემწე, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერც ერთი, ვერც მეორე ვერსადა ვნახეთ.

საქალაქო ბაღი ეს ერთად-ერთი ადგილია, სადაც მდაბიო ხალხი იკრიბება საღამოობით. სეირნობს, ისვენებს დღიურ ჭირ-ვარამით გულგადალეული, ეს ერთად-ერთი ადგილია, სადაც ხელ-მოკლე ხალხს თავისუფლად შეუძლიან შესვლა, ამოსუნთქვა და ნუ მოაკლებთ, ბატონო, მას ამ ერთად ერთ სიამოვნებას (თუ სიამოვნება შეიძლება ეწოდოს გაუნათებელ, ბნელს, მოუწყობელ ბაღში სიარულს).

⁂

საკვირველი ხალხი ვართ ქართველები. მზადა ვართ ყოველივე მიზეზი ჩვენი დაბეჩავებისა „ობიექტიურ“ პირობებს გადავაბრალოთ და ერთხელ კი არ ჩავიხედავთ საკუთარს გულში, არ ჩავუკვირდებით, არ დავრწმუნდებით, რომ ყოველივე ჩვენი გულ-გრილობის, უმოქმედობის, უსიცოცხლობის ბრალია, რაც მოგვდის, ყველაფერი ჩვენი თავით მოგვდისო. არსებობს სხვა და სხვა ქართული საზოგადოება,—ჩვენ გავურბით, ვერიდებით და როცა საქმე იშლება „ობიექტიურ“ პირობებს ვაბრალებთ. აი, მაგალ. გამიგონია, გორში არსებობს „ქართული საქველმოქმედო საზოგადოებაო“... რამდენად მართალია ეს, არ ვიცი. განუწყვეტლივ მიცხოვრია აქ წინად დიდი ხნობით, ვცხოვრობ აქ აგერ წელიწად ნახევარია, დაკვირვებული ვარ აქაურ საზოგადო ცხოვრებას, მაგრამ ამგვარი რამ საზოგადოების არსებობის ნიშანწყალიც კი არსად არ შემიმჩნევია. მერე არაა საჭირო ასეთი საზოგადოება საერთოდ ქართველთათვის? არაა საჭირო იგი კერძოდ გორისათვის, სადაც ღარიბ-ღატაკთა დიდ ლაშქარს მოუყრია თავი და შეუბრალებელ ქლექს თვის საშინელი მეჯლისი გაუმართავს? სხვებს მაინც მივხედოთ, სხვებისგან მაინც ვისწავლოთ ჭკუა და როგორმე დავახწიოთ ამ მოჯადოვებულ მდგომარეობას თავი, რომელიც თითქოს თავიდანვე დაენათლოს ჩვენთვის ბედს... აგერ, ჩვენი მეზობელი სომხები. ყოველ წელს ჰმართავენ ერთხელ თუ ორჯერ ბალს თუ სეირნობას თავის საქველმ. საზოგადოების საშუალებათა გასაძლიერებლად და თავიანთ ღარიბ-ღატაკთ საკმაო დახმარებას უწევენ... გამართულა რამე ამგვარი ქართულ საქველმ. საზოგადოების სასარგებლოდ? იმ საზოგადოების წევრთ როდისმე ხელი გაუნძრევიათ, რათა წევრები შეეძინათ, გაეძლიერებინათ საზოგადოება ქონებრივად, ხელი გაეწვდინათ ქართველ ღარიბ-ღატაკთათვის?

დღევანდელი ჩვენი მდგომარეობა გვავალებს, მოვიფშვნიტოთ თვალი, გამოვფხიზლდეთ, ხელი მოვკიდოთ შემოქმედ მუშაობას, გავაძლიეროთ ჩვენი საქველმოქმედო თუ სხვა რამ დაწესებულებანი, თორემ მერმე გვიან-ღა იქნება „ოხვრა თითზე კბენანი“...

სანგანიძე.

მუშათა ცხოვრება

ბაქო.

◆ ნობელის და ბეკენდორფის მუშები თხოულობენ, რაც უკვე შეუსრულეს კასპი-შავიზღვის საზოგადოების მუშებს. ზემო დასახელებული ფირმები კი უთმობენ მუშებს მხოლოდ იმას, რაც დაადგინა ნავთის მწარმოებელთა თათბირმა. კასპი-შავი ზღვის საზოგადოებამ დაუთმო მუშებს შემდეგი: ვინც იღებდა დღეში მანეთამდე, მას მოემატა 25% (სხვებმა მოუმატეს 20%); ამასთანავე აღთქმულია საჩუქრები 2½-თვის ჯამაგირის ოდენა. მომატებულია ბინის ქირაც და სხ.

◆ ნავთის წარმოების მუშების გაფიცვას ამას წინად შეუერთდნენ ბაქოს მეეტლენიც. მათი გაფიცვა გაგრძელდა სამს დღეს.

გროზნა.

◆ ახვერდოვის ქარხნების ადმინისტრაციამ წინადადება მისცა გაფიცულ მუშებს, რომ ერთი დღის განმავლობაში დასცალონ ბინები, წინააღმდეგ შემთხვევაში დაემუქრა პოლიციის მოწვევას.

ყაზანი.

◆ არყის სახაზინო საწყობში გაფიცულებმა მოინდომეს კრების გამართვა, რისთვისაც პოლიციამ დაატუსაღა 24 მუშა ქალი.

ლონდონი.

◆ ტრედ-უნიონების კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომ მთავრობამ შეიმუშაოს კანონპროექტი ყველა დარგის მუშების მინიმალურ (უმცირეს) ნორმის შესახებ. კრებამ დაადგინა ისიც, რომ ყველა ტრედ-უნიონმა ერთსა და იმავე დროს მოითხოვოს სამუშაო ქირის მომატება ორმანეთ ნახევრით კვირაში.

პეტერბურგი.

◆ პეტერბურგის მუშათა შორის აღიძრა საკითხი, მუშათა სახლის აშენების შესახებ.

◆ დამთავრდა გაფიცვა ოსიპოვის ტყავეულობის ქარხანაში. მუშების მოთხოვნილება, რომ საავადმყოფო კასის წესდება შესწორებულიყო მათის დადგენილების თანახმად, არ იქმნა დაკმაყოფილებული.

◆ გაიფიცნენ სტარია დერევნის ხუტყის ქარხნის ყუთების განყოფილების მუშები; წარადგინეს 18 სხვა და სხვა ეკონომიური მოთხოვნილება.

◆ გაიფიცნენ გავანიერას თამბაქოს ფაბრიკის მუშები, რომელთაც მოითხოვეს ოსტატის დათხოვნა.

◆ დაიწყო გაფიცვები ფურნეებში.

თეატრი და ხელოვნება

ზუბალაშვილების სახალხო სახლი. 25 აგვისტოს წარმოდგენილი იქმნა აისორულ ენაზე 4 მოქ. დრამა. „ბალბატი კამაი“ (პირველი ნაპერწკალი). სცენის მოყვარენი მშვენიერად და მონდენილად ასრულებდნენ თავიანთ როლებს. შემდეგში, იმედია რომ უფრო გაუმჯობესებენ თავიანთ საქმეს, წარმოდგენას ხალხი ბევრი დაესწრო, უადგილობის გამო ხალხი უკანვე ბრუნდებოდა გულდაწყვეტილი. **პ.**

დუშეთი. 22 აგვისტოს ადგილობრივ სცენის მოყვარეთა მიერ განსვენებულის არჩილ ჯორჯაძის ძეგლის სასარგებლოდ გაიმართა წარმოდგენა: „ბატონი და ყმა“ ილია ჭავჭავაძისა და „ტიმოთეს ლეღვი“. მთელი შემოსავალი იყო 44 მანეთი და სამი შაური. გასავალი: დეპეშა გუბერნატორს ნებართვისა—1 მ. 70 კ. პარიკმახერს, 3 მ. განათება 3 მ. 40 კ. წვრილმანი ხარჯი 96 კაპ. მარკების 3 მანეთი და 14 კ. ფულის გასაგზავნი.

დარჩა ხალასი შემოსავალი 32 მანეთი, რომელიც გაეგზავნა ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელ-საზოგადოებას, რათა შეუერთონ იმ თანხას, რომელიც განზრახულია ჩვენი სასიქადულო და საყვარელი მამულიშვილის არჩილის ძეგლის ასაგებად.

ამხანაგების მონდობილებით

დ. კობიაშვილი.

უცხოეთი

ბულგარეთი და ოსმალეთი.

ბალკანეთის არევ-დარევას ბოლო არ ეღება. გათავდა სერბია-საბერძნეთ-ბულგარეთის ომი და ეხლა ბულგარეთსა და ოსმალეთის უთანხმოებას აქვს მიპყრობილი ყველას თვალ-ყური. გაზეთ „დენი“ ამ საკითხის შესახებ სწერს:

ოსმალეთი ზავის პირობებს ერთდროულად კალმითა და ხმლით უკარნახებს. იგი დარწმუნდა რომ სახელმწიფოებს ადრიანოპოლის გულისათვის არა სურთ საერთა შორისო აყალ-მაყალის ატეხა და ოსმალეთის მთავრობამ თავისი ჯარი მარიცას იქით გადაიყვანა. ასეთი მოქმედება აიძულებს ზომიერებას ბულგარეთის დელეგატებს, რომელნიც სტამბოლში არიან. ასე ანგარიშობს ოსმალეთი და მისი ანგარიშიც სწორია. სტამბოლში სწორედ გაიგეს ლათინური ანდაზა—si is pracem, para bellum—და ომს ემუქრებიან ზავის ხელისმოწერის წინ, რომელმაც საბოლოოდ უნდა მოსპოს უკანასკნელი თვეების საომარი მოქმედება.

ეხლა ბულგარეთი სრულიად დაუცველია; სახელმწიფოების მხრივ არავითარ დახმარებას არ მოელის, ამიტომ ყველაზე უფრო საშიშარი მისთვის მეტის წართმევის მუქარაა.

ლო ჩვენს სამშობლოს—ნახევრად ველური.

საფრანგეთის დიდმა რევოლიუციამ ალპებშიაც იპოვა გამოხმაურება. მან იმედი გაუღვიძა „ქვეშევრდომებს“. 1798 წ. ვოს რევოლიუციონერებმა საფრანგეთის ჯარი მოიწვიეს ბერნელების უღელისაგან განსათავისუფლებლად. 5 მარტს ეს ჯარი შევიდა ბერნში, რომელიც სხვა კანტონებმა ღვთის ანაბარა მიატოვეს. ფრანგებმა მოსპეს წოდებრივი განსხვავებანი და ფეოდალური უფლებანი, ჩამოართვეს კანტონებს სუვერენული ძალა, დააკანონეს პრესის, სინიდისისა და პიროვნების თავისუფლება და ცენტრალური მთავრობა დაადგინეს (სენატი, დიდი საბჭო და ხუთი დირექტორი). ამგვარად დამოუკიდებელმა კანტონებმა ადგილი დაუთმეს გაერთიანებულ „ჰელვეციის რესპუბლიკას“.

რეაქციონერთა უკმაყოფილების მიუხედავად ასეთი მდგომარეობა ცოტაოდენი ცვლილებით გაგრძელდა ნაპოლეონის ძლიერების დამხობამდე. 1813 წ. 21 დეკემბერს კი გამარჯვებული მოკავშირეები (რუსები, ავსტრიელები, პრუსიელები) შემოვიდნენ შვეიცარიაში, აღადგინეს კანტონების დამოუკიდებლობა და ძველი წესწყობილება; საბოლოოდ მოისპო მხოლოდ „ქვეშევრდომთა“ ინსტიტუტი. ამ რეაქციის მიერ დატოვებული შლამი საბოლოოდ საფრანგეთის თებერვლის რევოლუციამ წალეკა. 1848 წელს სახალხო მოძრაობის გავლენის ქვეშ მოისპო ფეოდალური ნაშთები და დაარსდა „ფედერატიული სახელმწიფო“ ცენტრალურის მთავრობით ბერნში.

ეხლა შვეიცარია დემოკრატიის უძლიერეს კერას წარმოადგენს ევროპაში. წოდებრივი განსხვავებანი უარყოფილია, პოლიტიკური თავისუფლება არსებობს არა მარტო კანონმდებლობაში, არამედ (რაც არა ნაკლებ მნიშვნელოვანია) ხალხის შეგნებაშიაც. მთელს დედამიწის ზურგზე არ მოიპოვება კონსტიტუცია, რომელიც მოქალაქეებისაგან მეტს თვითმოქმედებას და ინიციატივას ითხოვდეს, ვიდრე შვეიცარიისა. შეიძლება ითქვას, რომ აქ ხალხი საყოველთაო არჩევნებისა, რეფერენდუმისა და საკანონმდებლო ინიციატივის წყალობით მართლაც სავსებით განაგებს თავის ბედს. არ არსებობს არც ბიუროკრატია, არც მუდმივი ჯარი და ამით სოციალური შრომის ეკონომია უმაღლეს წერტილამდეა მიყვანილი. კანტონები ანგარიშს უწევენ ადგილობრივ მოთხოვნილებებს და ინტერესებს, ხოლო ცენტრალური მთავრობა ზრუნავს საერთო საქმეებისათვის (სახელმწიფოს დაცვა, რკინის გზა, ფოსტა-ტელეგრაფი, ფინანსები და სხ.).

—

ვისაც ცოტა ხანს ევროპაში და კერძოდ შვეიცარიაში უცხოვრია, ის აქ უეჭველად შეამჩნევდა ერთს მეტისმეტად დამახასიათებელს მოვლენას—ანტიპატიას რუსებისადმი. ევროპიელები ამბობენ, რომ მათ ამ ხალხში არ მოსწონთ პიროვნების კულტურის უქონლობა, თავის თავის პატივისცემის სისუსტე, მონური ქედმოხრა ერთი მხრით და ტლანქი ძალმომრეობა მეორე მხრით, ერთი სიტყვით დაახლოვებით ის, რასაც ნიცშემ „ჯოგის მორალი“ უწოდა. რუსის ზოგიერთი მწერალი და მოაზროვნე თავის მხრივ ევროპიელებში ჰხედავს ეგოისტურ, ანგარიშიან და გულცივ არსებათ, მოკლებულთ მოყვასისადმი სიყვარულს. ევროპის კულტურას კი ის დაძველებულად და დრომოჭმულად სთვლის.

ხანგრძლივმა და მიუდგომელმა დაკვირვებამ იმ დასკვნამდე მიმიყვანა, რომ ეს ხალხი ორ სხვა და სხვა ენაზე ლაპარაკობს, რომ ხშირად ის რაც ერთს უდიდეს სიკეთედ და სათნოებად მიაჩნია მეორესთვის უდიდესი ბოროტებაა. ეთიური თვალთსაზრისის ასეთი სხვა და სხვაობა გამოწვეულია არა შემთხვევითი და დროული მოვლენით, არამედ ღრმა კულტურული წინაალმდეგობით. ჩემს მიზანს დაფასება არ შეადგენს და ამიტომ აქ არ შევუდგები იმის გამორკვევას, თუ რომელი კულტურული წრე სდგას უფრო მაღლა: რომანულ-გერმანული ხალხებისა თუ სლავიანურ-მონგოლურისა *). აქ მხოლოდ გაკვრით ამ სხვა და სხვაობის მიზეზს აღვნიშნავ.

როგორც სხვათა შორის შვეიცარიის ისტორიის მოკლე მიმოხილვისაგანაც სჩანს, თანამედროვე ევროპის კულტურა ორგანიულად განვითარდა ძველი ელლინურ-რომაული კულტურისაგან. მართალია საშუალო საუკუნეში განათლება ბევრად დაქვეითდა ანტიურ ცივილიზაციასთან შედარებით, მაგრამ ისტორიული ტრადიციის ძაფი არასოდეს არ გამწყდარა. ეკლესიის მამათა სიბრძნე (პატრისტული ფილოსოფია) ღვიძლი შვილია პლატონის მოძღვრებისა, ხოლო სხოლასტიკა არისტოტელისა. ანტიური მეცნიერების ნაღვერდალი ღვივის საშუალო საუკუნეების მონასტრებში და სენაკებში.

ამ მდიდარს მემკვიდრეობას თანამედროვე ევროპიულმა ერებმა თავის მხრივ ახალი კულტურული განძი შეჰმატეს. ამ განძის შექმნაში მეტნაკლებად თვითოეულმა ერმა მიიღო მონაწილეობა, მაგრამ სქემატიური სინათლის გულისთვის შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ მაგ. ესპანელებმა უწინარეს ყოვლისა რაინდობის და თანამედროვე სქესობრივი სიყვარულის იდეა მოგვცეს, იტალიელებმა რენესანსი და ძლიერი, დამოუკიდებელი პიროვნების კულტურა, გერმანელებმა რეფორმაციის მოძრაობა ე. ი. შემეცნება სარწმუნოებისა როგორც სინდისის საქმისა, ფრანგებმა რევოლუცია ე. ი. უფლების და თავისუფლების იდეალები, ხოლო ინგლისელებმა თანამედროვე ტეხნიკა და ინდუსტრია ე. ი. ადამიანის ბატონობა ბუნების ძალებზე.

პირიქით რუსეთისთვის რაინდული რომანტიკა სრულიად უცხოა, რაიცა გარეგნულად სხვათა შორის იმაში გამოიხატა, რომ ძველი რუსული ხუროთმოძღვრება არ იცნობს დასავლეთ ევროპიულ ან ქართული ციხე-კოშკის მსგავს შენობას. ესევე შეიძლება ითქვას რენესანსის და რეფორმაციის ცნებებზე: რუსეთის ისტორიაში არ ჰქონია ადგილი არც ერთს, არც მეორეს. რევოლუციამ რუსეთში უდღეო არსება შვა, მიტომ რომ ის არ იყო განაყოფიერებული წმინდა ეროვნული შემოქმედებით, ინდუსტრია კი აქ უცხო ნიადაგიდან გადმონერგილს მცენარეს წარმოადგენს და დღესაც უცხოელების ინიციატივით და კაპიტალით საზრდოობს.

ზემოდ ნათქვამით, რასაკვირველია, რუსეთის ეროვნული გენიოსობის დამცირება არა მსურს. რუსეთის ხალხმა შექმნა თავისებურის კულტურის სტილი, რომელიც ყველაზედ აშკარად ძლიერს რელიგიურს ძიებაში, დიადს ლიტერატურაში, მუსიკაში და სასცენო ხელოვნებაში იხატება. მაგრამ ეს კულტურა სრულიად სხვა ისტორიულს საფუძველზე სდგას, ვიდრე დასავლეთ ევროპის განათლება. საკმაოა შევადაროთ ტიპიური რუსი შემოქმედი ტიპიურს ევროპიელს მაგ. დოსტოევსკი ფლობერს, ან ჩაიკოვსკი ვაგნერს, რათა ადვილად დავრწმუნდებით, რომ აქ ერთი მეორეს უპირდაპირდება ორი სხვადასხვა მსოფლიო მხედველობა, ორი სხვადასხვა ფილოსოფიური პრინციპი, ორი სხვადასხვა ქვეყანა. ერისთვის მთელი კულტურაა თვით სიტყვა-კაზმული მწერლობა, თეატრი და ხელოვნება არსებითად რელიგიური ძიებაა, მეორესთვის რელიგია მხოლოდ ერთი კულტურული ძალაა და ხშირად (განსაკუთრებით კათოლიკურს ქვეყნებში) ესთეტიურს მოთხოვნილებას უქვემდებარება. ერთისთვის ადამიანის ცხოვრება ღვთაებრივი დანიშნულების აღსრულებაა, მეორესთვის საკუთარი გზით მსვლელობა. ერთისთვის ზნეობა სარწმუნოებისგან დამოკიდებული ძალაა, მეორესთვის თავისუფალი, თავის თავზე დაყრდნობილი პიროვნების შინაგანი კანონი. როგორც ტოლსტოი ნამდვილი რუსი, ისე კანტი ნამდვილი ევროპიელი ფილოსოფოსია.

აქ თავისთავად იბადება საკითხი, თუ რომელ კულტურულ ოჯახთან სდგას უფრო ახლო ჩვენი სამშობლო. ესაა საკითხი ისტორიის ფილოსოფიისა და არა პირადი სიმპატიისა—ანტიპატიისა: მხოლოდ ჩვენი წარსულის ობიექტიური და ყოველმხრივი შესწავლით შეიძლება მისი სავსებით გადაწყვეტა. *)

ძველი კოლხიდის და ივერიის კავშირი ანტიურს კულტურასთან იწყება იმ მორეულ დროიდან, რომელსაც ოქროს ვერძის, იასონის და მედეის თქმულება ეკუთვნის და გრძელდება იოანე პეტრიწის და ნეოპლატონიკოსების ეპოქამდე. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ელლინური განათლების ტრადიცია ჩვენში საშუალო საუკუნოების განმავლობაში კიდევ უფრო ცხოველია, ვიდრე დასავლეთ ევროპაში. ჩვენი რაინდული რომანტიკაც განსაცვიფრებლად ჰგავს ევროპისას: მის უდიდეს გამოხატულებას „ვეფხის ტყაოსანს“ კი ბადალი არა ჰყავს დასავლეთის იმ დროინდელს პოეზიაში. მაგრამ, რაც კიდევ უფრო საინტერესოა, ამ პოემას ანათებს ერთი მხრით მიმავალი ფეოდალური საზოგადოების მწუხრი, ხოლო მეორე მხრით მომავალი რენესანსის ცისკარი. მხოლოდ რენესანსის წინა გრძნობით გამსჭვალულს ადამიანს შეეძლო დაეწერა ავთანდილის ანდერძი ან ის შესანიშნავი სიტყვები, რომლითაც იწყება პოემის წინასიტყვაობა.

რენესანსმა საქართველოში ველარ გაშალა ფრთები, მიტომ რომ მეცამეტე საუკუნეში მონგოლებმა შესწყვიტეს ჩვენი კულტურის მსვლელობა. ორი საუკუნის შემდეგ კი მონგოლური რასისავე თურქებმა საბოლოოდ ჩამოგვაშორეს დასავლეთს. მაგრამ ძალმომრეობით არ შეიძლება ეროვნების შინაგანი ხასიათის შეცვლა. ეროვნება შეიძლება დასუსტდეს, დამახინჯდეს ან ფიზიკურად მოკვდეს, მაგრამ მას არ შეუძლიან სრულიად სხვა სულიერი სახე მიიღოს. ჩვენი კულტურა ჩამოქვეითდა და გაღარიბდა, მაგრამ მისი გულღვიძლი ძველი დარჩა.

უკანასკნელ ბალკანეთის ომში ძველი ელლინების შთამომავლებმა ბრწყინვალედ გაიმარჯვეს ოსმალოებსა და სლავიანების ერთს ტომზე. ამ ისტორიული ფაქტის მნიშვნელობის გაზომვა ჯერ-ჯერობით ძნელია: შეიძლება მას დიდი მოულოდნელი ცვლილებები მოჰყვეს. ყოველ შემთხვევაში ქართველი ხალხი სიხარულით უნდა შეხვდეს საბერძნეთის გაძლიერებას: მიტომ რომ თუ ამ უკანასკნელის დიდი ხნის ოცნება განხორციელდა და ოდესმე კონსტანტინეპოლი შავი ზღვის ნაპირითურთ მათ ძველს პატრონს დაუბრუნდა, საქართველოს გაეხსნება მოკლე გზა ევროპისაკენ და ჩვენი კულტურული განვითარებაც თავის საკუთარს კალაპოტში ჩადგება.

გერონტი ქიქოძე.

(დასასრული იქნება)

---

*) ცნობილია, რომ ორი უდიდესი სლავიანური ტომი, რუსები და ბულგარელები, არ წარმოადგენენ წმინდა კავკასიურ რასას; ორივე უხვად არის გაჟღენთილი მონგოლური სისხლით.

*) ახლო მომავალში ვეცდები უფრო დავასაბუთო ჩემი შეხედულება ამ საკითხზე: აქ ის ჰიპოტეტიურად და მოკლედ არის გამოთქმული.

ეროვნული

შეიძლება აღშფოთება სტამბოლის პოლიტიკის ორპირობით, რომელიც მაშინ იწყებს იარაღის ჩხარა-ჩხურს, როდესაც სოფიაში წინანდელი განწყობილება შეიცვალა და ძველებურმა შეურიგებლობამ ადგილი დაუთმო შეთანხმების სურვილს, მაგრამ აღშფოთება—ძვირფასი ღირსებაა, რომლის უთავბოლოდ გაფლანგვა არ შეიძლება, ოსმალების მოქმედება კი არაფრით არ განირჩევა სხვისაგან, რომელსაც დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი ბოლო ომის დროს. ზნეობრივი სილამაზით არ გვწყალობდა მკაცრი, სისხლის მღვრელი წლევანდელი წელიწადი.

ბულგარელი რწმუნებულები ჩავიდნენ სტამბოლში წინადადებით: იქ გაეყვანათ საზღვარი, სადაც იგი აღნიშნული იყო სან-სტეფანოს ზავით 1878 წელს. მაშინ სახელმწიფოების ჩარევამ ხელი შეუშალა საკითხის რადიკალურად გადაწყვეტას. ევროპა შიშობდა, რომ ბულგარეთი—მარიციდან ვარდარამდის ფარგალში—რუსეთის დიპლომატიის ხელში საშიშ იარაღად გადაიქცევაო. ეჭვი უსაფუძვლო გამოდგა, რადგან ბულგარეთმა მალე გამოამჟღავნა ცხადი სურვილი დამოუკიდებლობისა და საკმაო უზრდელად „გამოაბრძანა“ ბ-ნნი კაულბარსები, რომელნიც ცდილობდნენ იქ გენერალ-გუბერნატორის როლის თამაშს. მაგრამ რუსეთის განზრახვების შეფასებაში სახელმწიფოები არ შემცდარან, ამიტომ არ შეიძლება მათ ვუსაყვედუროთ ბერლინის კონგრესის გულისათვის. როდესაც სან-სტეფანოს ხელშეკრულობა მოხდა, რუსეთის სტამბოლისადმი განწყობილება ნათლად გამოირკვა, ბულგარეთის ნიჭი—რომ იგი გახდება რუსეთის იმპერიალიზმის საწინააღმდეგო ფარად, ჯერ დანამდვილებით არ იყო გამორკვეული.

სან-სტეფანოს ზავის პირობები, მხოლოდ სულ სხვა ნაირ გარემოებაში, განმეორებული იყო შარშან, ოსმალებმა, რომელნიც ყოველ ძალას ხმარობდნენ ადრიანოპოლი შერჩენისათვის, არქივიდან ამოაძვრინეს სან-სტეფანოს საბუთები და წინადადება შეიტანეს მაზე დახატულ საზღვრის ხაზით ესარგებლნათ. მაშინ პ. დანევმა ლონდონში ამაყად უკუაგდო იგი. ეხლა ბულგარეთის დელეგატები სხვას არაფერს თხოულობენ, სოფიაში კი აღშფოთებული ბრბო „გამცემის“ დანევის სახლის წინ დემონსტრაციებს ახდენს.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

27 აგვისტო.

უცხოეთი.

ბერლინი. იმპერატორმა ვილჰელმმა, როდესაც საბერძნეთის მეფეს ფელდმარშლის კვერთხი გადასცა, კმაყოფილება გამოუცხადა, რომ ღენერლებსა და ჯარის წარმომადგენლების წინაშე შეუძლიან პირადად გადასცეს ბრძოლის ველზე მოპოებული კვერთხი. იმპერატორმა მოიხსენია მეფის განცხადება, რომლითაც ბერძნების მეომართა გულადობის შემდეგ აღნიშნული იყო აგრეთვე პრუსიის სამხედრო პრინციპები, რომელიც მეფემ შეითვისა სამხედრო აკადემიაში და მეორე გვარდიის პოლკში ყოფნის დროს. გერმანიის ჯარი, —სთქვა შემდეგ იმპერატორმა, —ამაყობს მეფის ასეთი აზრით, რომელიც სამართლიანად აფასებს სამხედრო საქმეში გერმანიის სულის მოქმედებას, რომელიც ამტკიცებს, რომ გერმანიის პრინციპების განხორციელება გამარჯვებას უზრუნველჰყოფს. იმპერატორის საპასუხოდ მეფემ მადლობა უძღვნა და, მიუბრუნდა რა გენერლებს, კვლავ დაამოწმა, რომ საბერძნეთმა გაიმარჯვა არა მარტო ბერძენ ჯარისკაცთა სიმამაცის წყალობით, არამედ იმის გამოც, რომ მეფემ და მისმა მახლობლებმა გერმანიაში ყოფნის დროს იქაური პრინციპები შეითვისეს.

თეირანი. რეგენტს 4 სექტემბრისათვის მოელიან. პოლიციელები ეძებენ იმ პროკლამაციების ავტორებს, რომელშიაც რეგენტს ძლიერ ცუდად იხსენიებენ.

მაზამე. საბარგო მატარებელი სამხედროს დაეჯახა. მოკლულია სამი, აუარებელი დაჭრილია.

მანტპორჩით. საღამოთი გამრელის ვილაში გარდაიცვალა კარდინალი ვივესიტუტო.

კლაგენფურტი. ერცჰერცოგის პეტრეს და აგრეთვე აუარებელი ხალხის თანადასწრებით გერმაგორში მოხდა განმათავისუფლებელ ბრძოლის ძეგლის კურთხევა.

ტოკიო. პრემიერმა ოფიციალურად განაცხადა, რომ მთავრობა კრეისერების „ჩიოდა“-სა და „ნიტაკას“ დესანტებს საკმაოდ სთვლის ნანკინში იაპონელების დაცვისათვის. ხმები ჯარის კაცთა გაგზავნის შესახებ უარი ჰყვეს. პრესა თავდაჭერილად ბჭობს ნანკინის ინციდენტს იმ იმედით, რომ ჩინეთი დაუყოვნებლივ შეასრულებს იაპონიის მოთხოვნილებას. „იზიზი“ ნანკინის ინციდენტს განმარტავს, როგორც იარაღის საწინააღმდეგო აგიტაციას პეკინის მთავრობის მხრივ.

პეტერბურგი. სახელმწიფო სათათბიროში შეიტანეს: გარეშე საქმეთა სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვა; ხარჯი აღნუსხულია 7,745,977 მან. 1913 წელთან შედარებით გადამეტებული 515,912 მანეთით. სასოფლო ეკონომიის და სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკის განყოფილების ხარჯი —6,201,418 მან., გადამეტებულია 2,540,426 მან. ეს გადამეტებული თანხა გადადებული იქნება იმ დახმარების გასაწევად, რომელიც საჭიროა სასოფლო მეურნეობის გასაუმჯობესებლად, შინამრეწველობის განვითარების წასაქეზებლად, კოოპერატიულ საქმისა და ცეცხლის საწინააღმდეგო შენობების განვითარებისათვის.

გარეშე საქმეთა სამინისტრო იტყობინება, რომ სათათბიროს სურვილის გამო მან დაამზადა საზღვარ-გარეთის საელჩო დაწესებულებების რეფორმების გეგმა, მაგრამ მისი დასრულებისათვის საჭიროა ცოტა მეტი დრო, რადგან მახლობელ აღმოსავლეთში მომხდარ შემთხვევის გამო საჭიროა ბალკანეთში და მცირე აზიაში საელჩო დაწესებულებების ხელახლად დანაწილება.

ორენბურგი. საბირჟო კომიტეტმა დაადგინა იშუამდგომლოს, რომ გადაათვალიერონ საკითხი რუსეთში კომერციულ სწავლა-განათლების საქმის შესახებ, გადადებული იქნას თანხები საკომერციო სწავლა-განათლებისათვის და აგრეთვე მოწვეულ იქმნას სრულიად რუსეთისა და სარაიონო საკომერციო განათლების მოღვაწეთა კრებები.

წერილი რედ. მიმართ

ბ. რედაქტორო! ნება მომეცით თქვენი გაზეთის საშუალებით საფოსტო საქმეთა მესვეურის ყურადღება მივაქციო ერთ ფრიად სამწუხარო მოვლენას, რომელსაც, როგორც ირკვევა, მასიური ხასიათი უნდა ჰქონდეს.

პირველ აგვისტოს ბალახანიდან **ბაკურიანს** გავგზავნე სამ გირვანქიანი ამანათი. რადგანაც ამანათების, ფულების, დაზღვეულ ბარათების და სხ. მიღება ბაკურიანში მეტად სახლაფორთოა და თან მანდილოსანისათვის შესაწუხებელი, მე ამანათში თან ჩავაყოლე თხუთმეტი მანეთი ქაღალდის ფული. ამანათი ოთხ აგვისტოს უკვე მიიღო ადრესატმა, მაგრამ ფული კი იქიდან უჩინარ ძალის მიერ გაქარწყლებულიყო. კარგად რომ დააკვირდნენ საქმეს, დაინახეს, რომ ის „მატერია“, რომელშიაც ნივთი იყო გახვეული ერთ თავში სულ სხვა ძაფით იყო ნაკერი, ასე რომ აშკარაა, ამანათი გახსნეს, ალბად თვით ბაკურიანში, რადგან სწორედ იქ არ იშოვებოდა ისეთი ძაფი, რომლითაც ჩემი ამანათი იყო შეკერილი და ამიტომ იძულებული გახდნენ უბრალო თეთრი ძაფით მიემაგრებიათ თავი და ამ რიგად ქადრაკულად გადასცეს ადრესატს. ამ ჟამად ეს ამანათი საგანგებოდ მაქვს შენახული და საჭიროების დროს ვაახლებ ვისაც ჯერ არს.

მაგრამ ამას გარდა სხვა ფაქტიც რომ არ ჩამვარდნოდა ხელში, მერწმუნეთ, ხმასაც არ ამოვიღებდი. 15 20 დღით ადრე, ჩემმა მეგობარმა, იმავე ბალახანიდან, იმავე ბაკურიანში, იმავ ადრესატს გაუგზავნა დაზღვეული ბარათი და თან გააყოლა ათ მანეთიანი ქაღალდის ფული. კონვერტი საგანგებოდ იყო გამაგრებული. მისამართი ჩემი დაწერილი იყო... ბარათი კი მიიღეს, მაგრამ უფულოდ! გავსინჯეთ კონვერტი და მარჯვან-კონვერტიანა სხვა საშუალებით რომ არ გიხსნებოდა, ბასრი დანით გაუჭრიათ. ბოროტმოქმედება აშკარაა. ეს კონვერტიც გვაქვს შენახული.

სამს შემთხვევაში ორს მარცხი ეწია. მე არ ვიცი სხვათა ბედი. ყოველ შემთხვევაში-ფულები ქირს წაულია-ამანათების ხსნა-ჩხრეკა იმდენად მდარე ხასიათის მოღვაწეობა, რომ ყოველ ადამიანში იგი გამოიწვევს გულისწყრომას, ზიზღს. მე მგონია, თუ ამ მოვლენას ყურადღებას მიაქცევს ფოსტის სამართველო და შეუძლებლად გახდის ანალოგიურ ქირურგიულ ექსპერიმენტებს ამანათებ-ბარათებზე, უეჭველია, საზოგადოების მხრივ დიდ მადლობას დაიმსახურებს, სხვა რომ არა იყოს რა.

ქართულ ჟურნალ-გაზეთების თანამშრომელი, **თევდ. ღლონტი.**

მოწყალეო ხელმწიფევ, ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ, ნება გვიბოძოთ თქვენი პატივცემული გაზეთის „სახალხო გაზეთის“ საშუალებით უღრმესი მადლობა გამოვუცხადოთ ქვემორე მოხსენებულ პირთ, რომლებმაც კეთილ ინებეს და არ დაიშურეს სოფ. ვანის უფასო სამკითხველოსათვის თავისი წვლილი. შემომწირველთა სია: დიმიტრი სიკოს ძე ვადაჭკორიამ—ხუთი მანეთი; გიორგი სიხარულიძემ, ნიკო მდინარაძემ, არტემ სიხარულიძემ—სამ-სამი მანეთი. ხრისტაფორე აბაშიძემ—ორი მანეთი, არქიპო კარსანიძემ — მანეთნახევარი, თედორე ცხვედიანმა, კოლია ძიძიგურმა, ვალოდია ვაჩნაძემ, ბიქტორ მამითიძემ, გიორგი გულისაშვილმა, რაჟდენ ბაბუხაძემ, ანდრია ნოდიამ, ეფანე მდინარაძემ, ხარიტონ სტეფნიამ, ერმალო ლორიამ და მაღალო ხომასურიძემ—თითო მანეთი. სიმონ ჯღენტმა—ოთხი აბაზი, კალისტრატე ისაკაძემ, დათიკო ალხაზიშვილმა, გერმანე ხოჯავამ, არტემ ცუცხაშვილმა, კოლია დევიძემ, ივანე ხიდურელმა, თედორე ხიდურელმა, ანდრია ქაქუთიამ, ვანო კვირიკაშვილმა, კალისტრატე ჯღენტმა, ნოე ლომაძემ, სარდიონ მიქაძემ, გერონტი ჟუჟკარიანმა და ვასილი მიქაძემ—ათ ათი შაური. ვალენტინა წერეთელმა და კარლო ჩიჩუაძემ—ხუთ-ხუთი შაური. სულ 36 მანეთი და ოთხი აბაზი, რაც მოხმარდა სრულიად თავის დანიშნულებას.

გამგეობის წევრნი: ვასილი კონსტანტინეს ძე მახარაძე, სერაპიონ მახარაძე მ. სიხარულიძე.

ბატონო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით მადლობა გამოვუცხადო ვერა ფილოდელფის ასულს კნ. თარხან-მოურავისას, რომელმაც ჩემდამი დაარსებულ [illegible] პროფესიონალური სკოლის ბიბლიოთეკის სასარგებლოდ გადმომცა 10

გამგე **ელენე თარხან-მოურავისა**

შემოწირულება

ბ-ნო რედაქტორო! გიგზავნით
დ. ბორჯომში ჩვენ მიერ შეგროვ
29 მან. 15 კ. ირ. ევდოშვილის
სარგებლოდ, გთხოვთ გადასცეთ
ნიშნულებისამებრ.

შემომწირველთა სია: თითო მა
თი: მიხა სარალიძემ, შაქრო ნაცვლ
შვილმა, გიგო მეტრეველმა, მიხე
გიმერიძემ, ვასო ქებაძემ, გიორ
ნასყიდოვმა, სტუდენტი ობოლი,
ა. ეგიაზაროვმა, ანდრია ჯახმელ
შვილმა, ნ. ჯომარდიძემ. ათ-ათი შ
ური: ნიკოლოზ მაისურაძემ, გი
ნატრაშვილმა, ბ. პაპუაშვილმა, ჯ
ჯეიშვილმა, გელაშვილმა, ვანო ნ
კერიშვილმა, სოსია უსეინოვმა, რა
დენ ზაქარეიშვილმა, ლევან ენუ
ძემ, სოსო მაისურაძემ, არჩილ ნ
ზაძემ, გიგო აბრამიშვილმა, ალე
შავერდოვმა, ბაგრატა; რაბინოვიჩ
სიკო კობერიძემ, ბაგრატ მელაშვი
მა, ნიკოლოზ შალამოვმა, შაქ
ძევერელმა, ზ.—მ, №-მა. ორ აბა
გიორგი მირიანოვმა და შვიდი შა
რი №-მა. ხუთი-ხუთი შაური: სა
მაისურაძემ, ს. ხითაროვმა, მღვდელ
მა სერგო შელიავამ, იაგორ აკოფ
ვმა, ა. თოდაძემ, მ. სტაჯაძემ, ე. ხ
ხუნაშვილმა, ე. ოშხერელმა, ვ. ცი
ცაძემ, ს. სიხარულიძემ და ხუხუნ
შვილმა. თითო აბაზი: ს. კეპულაძ
მ. ჯობაძემ, გ. ოკროშიძემ, ონისი
ხაბელაშვილმა, მ. ღონღაძემ, ლაზარ
ბეროზაშვილმა, გრიგოლ კვირიკ
შვილმა, ვანო გვარჯილაძემ, ვან
მოდებაძემ, ალექსანდრე დანელია
პ. არუნოვმა, ალექსანდრე შახპარ
ნოვმა, ბაქრაძემ, გიგუცა თვარაძ
ვანო კიკნაძემ, ლადო სარაძემ, ილ
კო ლაშხმა, ნიკა ტუხიაშვილმა, გიო
რგი ქარსიძემ, სტეფანე საინოვმა, ვა
ნო ურიათყოფელმა, ვანო სლესარშ
აბგარ ამირალოვმა, პოლიკარპე დე
დარიანმა, ზაკუსილოვმა, საგატელო
ვმა, არტემ ა., და ორი შაური მი
აზატოვმა.

შემგროველნი: **შაქრო ნაცვლიშვილ**
შ სარალიძე, გიგო მეტრეველ

რედაქტორ-გამომცემელი
ა. ჭუმბაძე.

მატარებელთა მიმოსვლა

(ზაფხულობით)

18 აპრილიდან

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: № 6, **ჩქარი** პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 22, **სამგზ.-საბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **საფოსტო** სადამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** სად. 6 ს. 29 წ., № 106, **ნარევი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 4 ს. 23 წ.

ბათუმისაკენ: № 3, **საფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **საჩქარო** პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** ღამის 10 ს. 30 წ., № 107, **ნარევ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადაზიდ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

ბორჯომისაკენ: № 17, **სახ.** დილ. 8 ს. 2 წ. (15 მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 19, **სამგზავრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

მცხეთაში: № 65, **საბაგარაკო** დილ. 8 ს. 16 წ., № 67, **სააგ.** ნაშუადღ. 2 ს. 43წ.

ეს მატარებლები ივლიან პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე კვირა-უქმე დღეობით. მატარებელი № 67, უქმის წინა დღეებშიაც. ტფილისში უკანვე დაბრუნდებიან № 65 შუადღ. 12 ს. 5 წ. და № 67 სად. 8 ს. 28 წ.

ჯულფისკენ: **საფ.** № 4;3, შუადღ. 12 ს. 51 წ.

ყარსისკენ: **სახ.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

ერევანისკენ: № 24;23, **საბარგ.-სამგზ.** სად. 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: № 3, **საფ.** დილის 9 ს. 1 წ., № 21, **საბარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7, **სამგ.** მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, საშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **საჩქარო**—პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, სად. 9 ს. 35 წ., № 106, **ნარევ.**, მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

ბათუმიდან: № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **სამგ.** შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, **სამგზ.** სად. 5 ს. 54 წ., № 4, **საფ.** სად. 9 ს. 16 წ., № 106, **ნარევი** ღამ. 2 ს. 12 წ.

ვკისრულობთ:

თარგმანს სიტყვა-კაზმულისა და სხვა დარგის ნაწარმოებისას და აგრეთვე ყოველგვარ საბუთის ქაღალდებისას.

კორექტურას ქართულად გამოსაცემ წიგნებისას.

შესწორებას დასაბეჭდად განზრახულ ხელნაწერებისას.

გამოცემას წიგნებისას ავტორთა ხარჯით.

პირობებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე პირადად ამ მისამართით: **ტფილისი**, მუხრანის ქუჩა, „შრომის“ სტამბის გვერდით, სახლი № 12 [illegible] 2 საათიდან 7 საათამდე. ხოლო დილის 9—1 საათამდე ბინაზე: ვაკე, [illegible] გიმნაზიის პირდაპირ, სახლი [illegible] ტელეფ. 9-25.

ბაბილინა და ს. (ნარ-კანი) კურდღელაშვილები.

ექიმ ნავასარდიანის

პირველი კერძო

სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.

დილით:

„606“ და „914“

11—12 ს. შეზხაპუნება კონსულტაციურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. გ. ავანაროვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

ქ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანახოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ბველისანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ო. ვ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.

ქ. დ. გურგენიძე. 1—2 საათ. შინაგანი, საბავშვო, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერიოლოგ. გამოკვლევა. საღამოობით 6—7 საათამდე.

საღამოთი:

მ. გ. ბველისანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინისდოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

1004

◆

გამოვიდა გასასყიდად

ნ. ვ. აბრამიანის

შემდეგი გამოცემანი:

1) **სახელმძღვ. სავაჭრო ბუჰგალტერიისა**, დაკავშირებული ნავთ. კარხ. მრეწველობასთან (მეორე შევსებული და შესწორებული გამოცემა), ფასი 2 მ. 50 კ.

2) **პროცენტების გამოსაანგარიშებლად, ტაბულა,** 1-დან 360-დღემდე, ¼-დან 12% და ყველა თანხაზე 1-დან 10,000 მანეთამდე (მეორე გამოცემა), ფ. 85 კ.

3) **საჟურნალო სტატიები,** შემოსავალ-გასავლის გამოსარკვევად, ფ. 75 კ.

4) **საყოველთაო ცნობების მისაღები წიგნი,** ბუჰგალტერიის კურსების მსმენელთათვის და კანტორებში მოსამსახურეთათვის, ფასი 30 კაპ.

5 **სახელმძღვანელო სავაჭრო ბუჰგალტერიისა,** რკინეულობისა, კოლონიალურ, წვრილმან და ბამბეულობის სავაჭროებისა (სომხურ ენაზე), ფასი 2 მ.

იყიდება ავტორთან, საბუჰგალტრო კურსები, ნ. ვ. აბრამიანისა, ნიკოლოზის ქ., 22, და წიგნების მაღაზიებში. 580

თ. ა. მთავრიშვილის

წიგნის მაღაზია

ამით აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ ამა წლის 1913—1914 სასწავლო წლისათვის დამზადებული აქვს დიდ-ძალი

სახელმძღვანელო და სხვა წიგნები,

რომელნიც კი იხმარება ქალაქ ქუთაისისა და ქუთაისის გუბერნიის დაბალსა და საშუალო სასწავლებელში. **ფასები საკმაოდ დაკლებულია.**

მსურველთ შეუძლიანთ წიგნებთან ერთად მოითხოვონ ჩვენგან სხვა სასწავლო ნივთებიც: **რვეულები, კალმები, კალმისტარები, კარანდაშები, საანგარიშო დავთრები** და სხვა, რასაც ძალიან დაკლებულ ფასად დაუყოვნებლივ მივაწვდით ბ-ნ **გოკიელის** საკანცელარიო მაღაზიიდან: **ადრესი:** ქუთაისი. ალექსანდრეს ქუჩა, ბოკერიის სახლი, ბულვართან, **თ. მთავრიშვილი.** 1413

საბუღალტრო კურსები

გ. და მ. ტერ-დავიდიანცისა

ნიკოლაევის ქ., 36, ვორონცოვის ძეგლის ახლო. მიღება 4—7 საათ. საღამოთი. 1416

ე. მ. ალმაზოვას

ხელ-საქმის ქალთა სკოლაში

მოწაფეებს ყოველ-დღე მიიღებენ. ასწავლიან საგნებს: ქრა-კერვას, ქალის ტანისამოსის კერვას, ზედა საცმელის, საცვლების, ბავშვების ტანისამოსის, კორსეტების ქრა-კერვას და ყოველნაირი საუცხოვო ხელსაქმეს. ნემეცების ქუჩა, სახლი № 3. 579

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი **პირველი**

საბუჰგალტრო კურსები

ნ. ვ. აბრაამიანისა

(დაარსებულია 1895 წ.)

„სავაჭრო ბუჰგალტერიის სახელმძღვანელოს“ და სხვა სპეციალ. სახელმძღვანელოების ავტორისა.

ორივე სქესისათვის. რადგანაც მეცადინეობა ყოველ დღე იქნება **კურსებზე სწავლა 4 თვე გარძელდება.**

მეცადინეობა დაიწყება 15 სექტემბრის 1913 წ. კურსებზე სავალდებულოდ სწავლობენ: მრეწველობის ყველა დარგის ბუჰგალტერიას, ნავთის მრეწველობასთან და ნავთის ქარხნებთან დაკავშირებით, სხვა და სხვა მეთოდით, მაგრამ სპეციალურად იტალიური ორმაგი სისტემით; კომერციული ახგარიში; კომერციული კორესპონდენციას; ვექსილისა და ვაჭრობის უფლებას—პოლიტიკური ეკონომია; ანგარიშს ჩოტებზე და კალიგრაფიას. არა სავალდებულოდ: უცხო ენებს, სტენოგრაფიას და საბეჭდავ მანქანითბეჭვდას. მასწავლებლები—თავიანთ საგნების სპეციალისტები არიან, უმაღლესი განათლებით პრაქტიკულად და თეორიულად მომზადებულნი.

ატესტატები სამინისტროს ნებართვით სუსტად მომზადებულთათვის კურსებთან დაარსებულია დამატებითი მოსამზადებელი კლასები: რუსულ ენისათვის და ანგარიშისათვის.

კურსების პროგრამა და წესი მიეცემათ და გაეგზავნებათ მსურველთ ყოველ დროს. თხოვნები მიიღება ყოველ დღე დილის 9—11 საათამდე. და საღამოს 5—7 საათამდე.

კურსები აწვდის სავაჭრო დაწესებულებებს თეორიულად და პრაქტიკულად მომზადებულ ბუჰგალტრებს, თანაშემწეებს, კორესპონდენტებს და კანტორის სხვა და სხვა საქმის მცოდნე მოსამსახურეებს კურსების თავმდებობით. კურსებზე უსწავლია 2.000 კაცზე მეტს.

პირადად ან წერილობით მიმართეთ კურსების დამაარსებელს ტფილისში: ნიკოლოზის ქუჩა, 22, ს. ს. ტელეფონი 744. 1433.

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდე

ქართველი მწერლების შემდეგი ლექსები და პოემები:

ბარათაშვილის ლექსები	40 კ.	ორბელიანი გრ. ლექსები,	20
ბაჩანა. დიაკვნიანი	20 „	„ ვახტანგი,	60
ბესიკი. ლექსები, სიტყ.-კაზ. გამოც.	1 მ.	„ ნინო,	30
განდეგილი ლექსები,	50 „	რაზიკაშვილი ნ. დაბადება და აღზრდა ერეკლე მეფისა,	15
გრიშაშვილი ოცნების კოცნა,	10 „	სილოვანი. ჩემი აზრი და ფიქრები № 1,	20
გურამიშვილი. დავითიანი,	1 მ.	„ ცხოვრ. სურათები, № 2,	20
დუტუ მეგრელი,	70 „	„ აღსარება, № 3	5
„ მწარე ფიქრები,	20 „	„ ლექსები 1879—1891	50
ევდოშვილი.	60 „	„ სიმები,	5
ერისთავი რაფ., ტ. 1-ლი,	1 მ.	ქართ. პოეტ. რჩეულ. ლექსები,	25
„ ტ. 2-ე,	40 „	ჩიხრუხაძე ქნარი,	20
ვეფხის ტყაოსანი,	60 „	შანშიაშვილი შვების თავადი,	60
ვაჟა-ფშაველა,	1 მ.	„ ქება-ქებათა და სულამიტ.	10
„ ახუნდი,	5 „	ცის-სარტყელა, სალიტ. კრებული,	15
„ ბახტრიონი,	20 „		

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 1217

საუკეთესო საკვები ცხენებისათვის და საქონლისათვის

„პატოკსან“.

„**პატოკსან**“ შეიცავს 42% შაქარს (სრულიად რუსეთის შაქრის მრეწველთა ლაბორატორიის ანალიზი № 647.

„**პატოკსან**“ საუკეთესო საშუალებაა საქონლის ღონის შერჩენისათვის და შემატებისათვის (მოხსენება ექ. იოტეიკოსი ლიეჟის შაქრის მრეწველთა კონგრესზე.

„**პატოკსან**“ ხელს უწყობს საქონელს და ცხენებს საჭმლის მონელებაში, რაც თავის რიგად ეხმარება შრომის უნარისა და სიცოცხლის უნარის შემატებას.

„**პატოკსან**“ ხელ უწყობს რომ რძის მომცემ საქონელს რძე გაუუმჯობესოს და დღიური ნაწველიც გაადიდოს.

„**პატოკსან**“ ფხვნილია და ამიტომ შეიძლება ადვილად გადაურიოთ ქერში და სხვა საჭმელში.

„**პატოკსან**“ თავის ნოყიერების გამო ძალიან მარგებელია და ეკონომიური საჭმელი.

ვინც მოისურვებს გაეგზავნება ერთი ფუთი 1 მ. 20 კ. გაგზავნის ფასს ვიხდით ჩვენ გაგზავნის დროს. ყოველგვარ ცნობა და მომხმარებლების აზრი უფასოდ იგზავნება ამიერ-კავკასიისათვის.

ერთად-ერთი წარმომადგენელი ამიერ-კავკასიისთვის **„გეორგი რუსინოვ და ამხ.“** ტფილისში, ვერის დაღმართი № 12, ტელეფონი 11—37 და 11—77. ფოშტით მისამართი: „რუსინოვს—ტფილისი“. 1384.

მუდამ დღე მოგვდის

თევზის მრეწველნი

მმ.

ძეგელოვები.

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.
ტელეფონი № 716.

ახალ-ახალი

მტკვრისა თართი, ზუთხი, ლოქო, და სუდაკი.

ახალი მსხვილ-მარცვლოვანი

ხიზილალა [illegible]

აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში **მარტის დოში, იანი, შიპა, ზურგიელები**, სხვა ყოველ-ნაირი **თევზეულობა** და **კონსერვები.**

მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“.